ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ბაჩანა შენგელია: „პროკურატურაში მოვითხოვე გიორგი გახარიას და მიხეილ ბატიაშვილის გამოკითხვა“



გვ.7

9 ივლისიდან

ჯეიმს ფენიმორ კუპერი

ჯაშუში

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




სამშაბათი, 9 ივლისი, 2019 №160 (8114) ფასი: 60 თეთრი

# დეპუტატ ზაზა ხუციშვილის ძმა ანტისაოკუპაციო მოძრაობას შეუერთდა



გვ.2

დავით ბერძენიშვილის შვილი: „ოცმა ადამიანმა ამიტაცა და სადღაც წამიყვანეს“

რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ კონტრაქციის მოწყობა



გვ.3

## რატომ მოხვდა გულზე „ოცნებას“ გაბუნიას გინება

## ლევან ვასაძემ გეი აღლუმი ვერ ჩაშალა



გვ.2

ღირსების მარში შსს-თან გაიმართა

## ნინია კაკაბაძე: „ვინმეს აქვს კიდევ კითხვა, რომ ჩვენი მთავრობა რუსეთის სატელიტი არ არის?!“



გვ.4

„გაბუნიას უგემოვნო, მდარე ხარისხის ტექსტს არანაირი გამართლება არ აქვს“



გვ.5

## პაატა ზაქარეიშვილი: „კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდება“

## „კოალიციური მთავრობა არაფორმალურ მმართველობას დაასრულებს“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „პროპორციული სისტემის გატანას „ოცნების“ ნება სჭირდება“



გვ.3

### სამართალი

გვ.7



გურამ ფალავანდიშვილს სასამართლომ სიტყვიერი გაფრთხილება გამოუცხადა



მირზა სუბელიანმა პენიტენციური დაწესებულება დატოვა



მარტვილში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა

### ეკონომიკა

გვ.6

აკაკი ცომაია: „ეს ფასია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იხდის იმის გამო, რომ არ უნდა რუსეთთან ურთიერთობა“



ირაკლი ლექვინაძე: „დღეს ბიზნესგარემოს გამოწვევაა რუსული ბაზრიდან მისაღები შემოსავლების შემცირება“



ლექსო ალექსიშვილი: „ანტიდემპინგური კანონი წინააღმდეგობაშია ქვეყნის სტრატეგიულ ხაზთან“



ISSN 1987-9385

5 რუსეთი საქართველოს გამო ევროპას დაუპირისპირდა

4 კახი კალაძე: „რუსთავი 2-ის დახურვის მოთხოვნის დაყენება სწორი არ არის“

5 მოსალოდნელია თუ არა ბიუჯეტის სექვესტრი ან გადახედვა

4 გიგი უგულავა: „ვასაძემ ჯვარი გადააკეთა კომბლად და ასე, ვითომ ქრისტიანი, დასდევს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს“

# დეპუტატ ზაზა ხუციშვილის ძმა ანტისაოკუპაციო მოძრაობას შეუერთდა

## რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ კონტრაქციის მოწყობა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 8 ივლისს, რუსთაველის გამზირზე სიტუაცია დილიდანვე დაიძაბა. „თბილის პრაიდის" განცხადებით აღშფოთებული ლევან ვასაძის მომხრეები სასულიერო პირებთან ერთად პარლამენტის შენობასთან მივარდნენ, სადაც განაცხადეს, რომ გეი აღლუმის ჩატარებას არ დაუშვებდნენ.

არადა ღირსების მარშის ჩატარება პარლამენტის წინ არც იგეგმებოდა. აქ 20 ივნისის სისხლიანი ღამის შემდეგ ანტისაოკუპაციო აქციები იმართება. აქციის მონაწილეები საღამოს 7 საათზე მიდიან და 11 საათისთვის იშლებიან.

8 ივლისს მათ უფრო ადრე მოუწიათ პარლამენტთან მისვლა, რადგანაც იქ დილიდან ვასაძის ხალხი გამაგრდა. სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ იქაურობას ნაკურთხი წყლით გაწმენდდნენ და პრაიდის მომხრეებს რუსთაველზე აღარ გააჭაჭანებდნენ.

ანტისაოკუპაციო აქციის ორგანიზატორებმა ამ განცხადებების უკან ხელისუფლების კვალი დაინახეს – 20 ივნისის მერე მეოცნებეები ლამის ყოველდღე ითხოვენ კონტრაქციის მოწყობას.

ანტისაოკუპაციოს ხალხი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ვასაძე კონტრაქციის მოსაწყობად გამოიყენა.

მას შემდეგ, რაც მათ პარლამენტის მისადგომები დაიკავეს, იქ ანტისაოკუპაციოს ორგანიზატორებიც მივიდნენ. მათ შორის იყო მიშა მშვილდაძე. სასულიერო პირებთან მყოფმა ხალხმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ბოთლებიც ესროლა.





სიტუაცია რომ არ დაძაბულიყო, ანტისაოკუპაციომ თავიდან აქციის გადადება გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

საგანგებო განცხადება ნაგინებმა და ბოთლებნასროლმა მიშა მშვილდაძემ გააკეთა. მან მომხრეებს რუსთაველის გამზირზე მისვლისკენ მოუწოდა.

– ჩვენ, საქართველოს მშვიდობიან მოქალაქეებს, რომლებსაც გვაერთიანებს რწმენა, რომ ადამიანის თავისუფლება და თანასწორობა თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველია; რომლებიც ვთანხმდებით, რომ რუსეთი არის ჩვენი ქვეყნის ისტორიული მტერი და ოკუპანტი; რომლებიც მხარს ვუჭერთ ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ მომავალს. მიგვაჩნია, რომ დღეს, როგორც საქართველოს ისტორიაში არაერთხელ, რუსთაველზე, პარლამენტის წინ წყდება, ვის ეკუთვნის ეს ქვეყანა, ჩვენ, თავისუფალ ადამიანებს, თუ რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ძალებს, რომლებსაც დღევანდელი ხელისუფლება მფარველობს;

დღეს წყდება, მოახერხებენ თუ არა პრორუსული ძალები და რუსეთის ხელისუფლებისგან მართული ჯგუფები შექმნან ილუზია, რომ ეს ქვეყანა მათ ეკუთვნით;

დღეს, პარლამენტის წინ ადგილობრივი გავრილოვები ცდილობენ თავისუფალი სივრცის სიმბოლურად დაპატრონებას; მოვუწოდებთ თავისუფალ ადამიანებს:

დღეს, 19 საათზე გამოვიდნენ რუსთაველის გამზირზე, მშვიდობიანად, ჩვენი აქციებისთვის დამახასიათებელი სიმბოლიკით, საქართველოს, ევროკავშირისა და ნატოს დროშებით.

ამავდროულად, მოვუწოდებთ სახელმწიფოს, მხედველობაში მიიღოს კონტრაქციის მონაწილეების ძალადობრივი მოწოდებები, შეასრულოს მისი ვალდებულება და უზრუნველყოს შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა უსაფრთხოება და ამ უფლებით სრულყოფილი სარგებლობა, – განაცხადა მიშა მშვილდაძემ.

რადგან რუსთაველი ვასაძის ხალხს ჰქონდა დაკავებული, ანტისაოკუპაციოს ხალხი პუშკინის ბაღში შეიკრიბა, საიდანაც პარლამენტის შენობისკენ მსვლელობით დაიძრა.

შსს-მ მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად კორდონი აღმართა და ორი აქციის მონაწილეთა შორის ჩადგა.

ამის მიუხედავად, რამდენიმე შეტაკება მაინც მოხდა. ვასაძის ხალხმა ანტისაოკუპაციოს მონაწილეს აგინა და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

მას თავის არეში დაზიანებები აღენიშნება. დაზარალებულს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

ამ ინციდენტზე ჟურნალისტებს დეპუტატმა გიგა ბოკერიამ მოუთხრო.

– მათგან არ მიკვირს. რამდენი ხანი უნდა ჰყავდეს ივანიშვილს ეს პროპუტინისტური ჯგუფები? ეს ყველაფერი არის მართული და ამას აღარც მალავენ. ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეებს ესვრიან ბოთლებს, სხვადასხვა ნივთებს და პოლიცია დგას, რადგან ივანიშვილისგან აქვს ბრძანება.

ეს ხალხი აღარც გვიმალავს, რომ თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ეს ჯგუფები აქვთ შექმნილი, თუმცა ძალაუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებენ, – განუცხადა ბოკერიამ ჟურნალისტებს.

მისმა თანაპარტიელმა გიგი უგულავამ ლევან ვასაძის მართლმადიდებლობაში ეჭვი შეიტანა. „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერისთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა აქციოს მორწმუნე ადამიანმა ჯვარი კომბლად.

უგულავას თქმითვე, ბოლო დღეებში საქართველოში თითქმის ყველას ლუსტრირება მოხდა.

– ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ საქართველოში მოხდა აბსოლუტური ლუსტრაცია, საქართველოს ხელისუფლება ივანიშვილის თამადობით, სხვადასხვა ძალადობრივი ჯგუფები, რომლებიც აქამდე აფიქსირებდნენ ღიად პრორუსულ იდეებს, ღიად ჩადგნენ უნისონში რუსეთის მთავრობასთან, კრემლის პრესსპიკერთან ერთად ქართველი ხალხის წინააღმდეგ პუტინის დაცვაში.

წინ არის ჩვენი სამშობლო, მისი თავისუფლება, ევროპისკენ გზა და იქით მხარეს დგანან ადამიანები, რომლებიც ასე ღიად, ურცხვად გველაპარაკებიან რუსული ტექსტებით და მოგვიხმობენ დედა რუსეთისკენ.

აქ არიან შეკრებილი ადამიანები, რომლებიც არიან განწყობილი მშვიდობისკენ. ჩვენ გვაქვს ხელზე მშვიდობის მანიშნებელი ხელსახვევი, ბატონ ვასაძეს კი ხელზე აქვს ქამრები, ჯვარი გადააკეთა კომბლად და ასე, ვითომ ქრისტიანი, დასდევს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, – განაცხადა უგულავამ.

* * *

გუშინ, 8 ივლისს, ერთი საყურადღებო ამბავიც მოხდა. ანტისაოკუპაციო მოძრაობას „ოცნების" დეპუტატის ზაზა ხუციშვილის ძმაც შეუერთდა. მან პარტია „ქართული ოცნებაც" დატოვა.

ჟურნალისტებთან საუბარში გია ხუციშვილი ამბობს, რომ მან პარტიის დატოვების გადაწყვეტილება 20 ივნისის დარბევის შემდეგ მიიღო.

– რაც მოხდა 20 ივნისს, თვალები რომ დათხარეს პატარა ბავშვს, ვინმეს სჯერა, რომ პატარა გოგო, მაგხელა შვილიშვილები მეყოლება, რომ გადატრიალებას აწყობდნენ, შიშველი ხელებით? ზაზა ხუციშვილის ძმა ვარ. „ოცნებაში" მეც ვიყავი, მაგრამ მე ჩემი აზრი მაქვს, მას თავის აზრი აქვს. მთხოვა თავი შემეკავებინა, მაგრამ წინა დღეს ჩავაყენე „ოცნების" წევრები საქმის კურსში, რომ აქციებზე დავდივარ და განცხადებას დაგიწერთო. არ შეიძლება იყო პარტიაში, რომლისაც არ გჯერა, – აღნიშნა გია ხუციშვილმა.



**დავით ბერძენიშვილის შვილი: „ოცმა ადამიანმა ამიტაცა და სადღაც წამიყვანეს"**

აქციებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე რამდენიმე ადამიანი დააკავეს. მათ შორის იყო იყო დავით ბერძენიშვილის შვილი, ზუკა ბერძენიშვილიც.

ის სამართალდამცავებმა მალევე გაათავისუფლეს. გათავისუფლებულმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

– როდესაც ყველანაირი გამოსვლა მათ დაამთავრეს, აქციაზე მათ გააჟღერეს, რომ არიან რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ. ჩვენ ჩავრთეთ მიკროფონი და ამ ადამიანებს მოვუწოდეთ, რომ თუ თქვენ თვლით, რომ რუსეთი ოკუპანტია, ვკონცენტრირდეთ ამაზე, იმიტომ, რომ ჩვენი აქციაც ამას ეხება და ერთად ვისკანდიროთ საქართველო.

ამაზე მოვარდა 20 პოლიციელი, მითხრეს, რომ მე ვარ პროვოკატორი და მითხრეს, რომ დამეტოვებინა ტერიტორია. რაზეც მე ვუთხარი, რომ კრემლის სპეცრაზმიც რომ მივიდეს, ჩემი ნებით არ დავტოვებ-მეთქი და მათაც არ დამაყენეს. ოცმა ადამიანმა ამიტაცა და სადღაც წამიყვანეს. მთელი გზა მიმეორებდნენ, რომ თვითონ არ არიან ჩემ მიმართ მტრულად განწყობილები. მეც ვუმეორებდი, რომ ის, ვინც დღეს მათი უფროსია, არის ამ ქვეყნის მტერი.

მისი თქმით, ვასაძე და მისი მხარდამჭერები ხელისუფლების დაკვეთით ცდილობენ, ჩაახშონ მათი ხმა.

– არასოდეს გახარია, არასოდეს არ დამთავრდება ანტისაოკუპაციო მოძრაობა საქართველოში და შენ გადადგები, – განაცხადა ზუკა ბერძენიშვილმა.

# ლევან ვასაძემ გეი აღლუმი ვერ ჩაშალა

## ღირსების მარში შსს-თან გაიმართა

შორენა მარსაგიშვილი

„თბილისი პრაიდმა" 7 ივლისს გვაუწყა, რომ ერთხელ უკვე გაუქმებულ ღირსების მარშს 8 ივლისს გამართავდა. ამ განცხადებამ „ქართული მარში" და ლევან ვასაძე თავის მომხრეებიანად გამოაცოცხლა.

მარშელებმა და რაინდელებმა განაცხადეს, რომ თბილისში გეი აღლუმის ჩატარებას არ დაუშვებდნენ. მათ თავისი მომხრეების სრული მობილიზაცია გამოაცხადეს. ვასაძემ თავისიანებს ქამრებით უხმო. თავადაც ქამარი დაიხვია ხელზე და ხელში ჯვარი დაიკავა.



ასე მივიდა ის პარლამენტის შენობასთან და მერე შსს-ს მიაკითხა. შსს-ს წინ განცხადება გააკეთა, გინდა ახტით, გინდა დახტით, აღლუმს ვერ ჩაატარებთო. განცხადების გაკეთების შემდეგ ვერის ბაღში დაბრუნდა.

და როცა ყველას ეგონა, რომ ღირსების მარში ჩაიშალა, „თბილისი პრაიდმა" თავისი გაიტანა. შსს-ს წინ ღირსების მარში ჩატარდა.

ეს ამბავი ვასაძიანელების ყურამდეც მივიდა. ისინი პარლამენტიდან შსს-სკენ დაიძრნენ, მაგრამ მათი სვლა ამაო გამოდგა – ღირსების მარში უკვე ჩატარებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მარში შედგა, პრაიდელები მაინც უკმაყოფილოები ჩანდნენ. მიზეზი ის გახლდათ, რომ ღონისძიება პარტიზანულად გაიმართა და მისი გაშუქების უფლება მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალებას მისცეს. მარში მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

პრაიდელები სწორედ დროის სიმცირის გამო არიან უკმაყოფილონი. ისინი შს მინისტრ გიორგი გახარია გადადგომას ითხოვენ.

– ღირსების მარში შედგა. მიუხედავად ამ ძალადობრივი, დამპალი სისტემისა, მოძალადე გახარიამ, რომელმაც 20 ივნისის სისხლიან ღამეს იძალადა მშვიდობიან მოქალაქეებზე, იგივე გაიმეორა ჩვენს შემთხვევაში, მან პირდაპირ გვითხრა უარი ღირსების მარშის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვაზე.

მან გვითხრა, რომ ასევე, ვერ უზრუნველყოფდა ჩვენს



ტრანსპორტირებას... ჩვენ ბოლომდე დავდექით ღირსეულად, ღირსების მარში შედგა, თუმცა არა ისეთი მასშტაბით, როგორიც დაგეგმილი იყო, – განუცხადა ჟურნალისტებს ღირსების მარშის ერთ-ერთმა მონაწილემ.

არადა სწორედ შსს-ს დამსახურება იყო, რომ ლევან ვასაძემ და მისმა ლაშქარმა ეს მარში ვერ ჩაშალა.

მართალია რაინდის ლაშქარი ჩქარობდა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, შსს–თან მისულებს აქცია უკვე დაშლილი დახვდათ.

ამით ვასაძეც გულნატკენი დარჩა.

– თბილისი პრაიდი გადაიქცა თბილისი ჰაიდად, – განაცხადა ამაოდ ნავალმა რაინდმა და მომხრეებთან ერთად პარლამენტის შენობასთან დაბრუნდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ მოხვდა გულზე „ოცნებას“ გაბუნიას გინება

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ისტორიაში ბევრი სამარცხვინო თარიღია, ამ სამარცხვინო თარიღებს შორის 2019 წლის 7 ივლისი საპატიო ადგილს დაიკავებს. 2019 წლის 7 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ოკუპანტი რუსეთის პრეზიდენტის ღირსების დასაცავად დაირაზმა.

რუსეთის მიმართ სიმპათიებს აქამდეც ამჟღავნებდნენ, მაგრამ გრძნობების საჯაროდ ამოხეთქვა ასე არასდროს მოუხდენიათ. ამაში მათ რუსთავი 2 და გიორგი გაბუნია დაეხმარნენ.

გიორგი გაბუნიამ თავისი გადაცემა რუსეთის პრეზიდენტის გინებით დაიწყო. გინება სასიამოვნო მოსასმენი არ არის, მაგრამ გაცილებით უსიამოვნო სანახავი იყო ის, რაც ამის შემდეგ ხელისუფლებამ და მავანმა ცნობადმა სახემ იკადრა.

გაბუნიას ბილწსიტყვაობის კორიანტელი ჯერ საბოლოოდ არ იყო ეთერიდან გაფანტული, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს მისი ლანძღვა და რუსეთისთვის ბოდიშების მოხდა.

ასეთი მყისიერი რეაქცია ცოტათი საეჭვოც კი იყო. ადამიანი იფიქრებდა, რომ ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა, თუ რას იტყოდა სკანდალური ტელეწამყვანი.

მყისიერი და სამარცხვინო იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება. გაბუნიას ბილწსიტყვაობაზე ეგრევე შემოჰკრეს განგაშის ზარები, არადა, ეს ის უწყებაა, აზერბაიჯანელების მიერ დავითგარეჯის ოკუპაცია შემთხვევით მედიისგან რომ გაიგო.

მყისიერი რეაგირების თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა მთავრობის მეთაური მამუკა ბახტაძე. გაბუნიას გინება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მთავრობის მეთაურმა ფეისბუქზე პოსტი გამოაქვეყნა. და ვ.ვ. პუტინის გინება პროვოკაციად შეაფასა.

– ის, რაც დღეს ქართულმა საზოგადოებამ იხილა რუსთავი 2-ის ეთერში, არის კატეგორიულად მიუღებელი. ამ მიმართვას ერთმნიშვნელოვნად ვაფასებ, როგორც პროვოკაციას, როგორც უდიდესი საფრთხის შემცველ გზავნილს, მიმართულს საქართველოს მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე და საქართველოს ყველა მეგობარი, გაემიჯნება ამგვარ ავანტიურას, ყველა გონიერი ადამიანი ამ ფაქტს შეაფასებს პოლიტიკურად ძალიან საშიში პროვოკაციის გამოვლინებად.

ეს არის პროვოკატორების ომი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, ბინძური და ამაზრზენი თამაში სახელმწიფოსა და მოქალაქეების უსაფრთხოებასთან, – დაწერა მამუკა ბახტაძემ ფეისბუქზე.

მას არც საქართველოს პრეზიდენტი ჩამორჩა. სალომე ზურაბიშვილის სახელით მიმართვა პრეზიდენტის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა. მან რუსეთის პრეზიდენტის გინება სახელმწიფო ინტერესების დაზიანებად შეფასდა.

– პრეზიდენტი გმობს ერთ-ერთი ტელეკომპანიის წამყვანის მიერ მეზობელი ქვეყნის მეთაურის პროვოკაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინებით მოხსენიებას.

პატრიოტიზმი სხვა რამ არის. ქვეყნის ინტერესების დაცვა აგრესიით, დესტაბილიზაციით და არეულობით არ ხდება. ჩვენი გზა მშვიდობიანი გზა არის, ჩვენი პერსპექტივა ევროპა, ჩვენი ძალა კი სტაბილურობა.

ქვეყნის დაშლა ორ ბანაკად, გარე დაპირისპირების წაქეზება და რეგიონში დაძაბულობის გაღვივება ჩვენი მხრიდან დაუშვებელია! ეს ან ახალი ომის პროვოცირებას ემსახურება, ან რევანშია დაუსრულებელ გადატრიალებაზე? ყოველ შემთხვევაში, ეს არის ქმედება ქვეყნის წინააღმდეგ!

საქართველოსთვის რაც უკადრებელია, ის იკადრა! სახელმწიფოს ინტერესების დაზიანება ამას ჰქვია, – ვკითხულობთ პრეზიდენტის სახელით გაკეთებულ განცხადებაში.

გაბუნიას მონოლოგმა თბილისის მერსაც აუწეწა ნერვები და კახა კალაძემ მკაცრი რეაგირება მოითხოვა.

– ჩვენი ქვეყანა ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, დაუშვებელია „პატრიოტიზმით“ შენიღბული ამ მასშტაბის პროვოკაცია მკაცრი რეაგირების გარეშე დავტოვოთ. ამას მარტივი სახელი ჰქვია – საკუთარი ქვეყნის მტრობა.???

ერთხელ უკვე ვნახეთ იგივე პოლიტიკური ძალის მიერ ასეთი მტრობით უმძიმეს მდგომარეობამდე მიყვანილი ქვეყანა. მეორედ ამის დაშვება არ შეიძლება. არც დავუშვებთ, – წერს კახა კალაძე

მოქმედ მაღალჩინოსნებს ყოფილებმაც არ დაუდეს ტოლი და თითო კრულვიანი პოსტი მათაც შეაწიეს პუტინის მაგინებელ გაბუნიას.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე, რომლის სინდისზეც 20 ივნისის სისხლიანი ღამეა, გაბუნიას გამოხდომას ავანტიურიზმთან აკავშირებს.

– იმაში, რაც დღეს ნაცმოძრაობამ და მისმა ტელევიზიამ გააკეთეს, სინამდვილეში, ახალი არაფერია. ეს იყო უბრალოდ, კულმინაცია, კულმინაცია იმ ყველაფრის, რასაც ავანტურისტების ეს „შპანა“ მთელი ამ წლების განმავლობაში აკეთებდა. ამ ყველაფერს ორი სახელი შეიძლება დავარქვათ – ა) ქაჯობა, ბ) საკუთარი ქვეყნის მტრობა. სამწუხაროა, რომ ამ ყველაფრისთვის პასუხის გაცემა მთელი ეს წლები რაღაცნაირად გვეთაკილებოდა. თუ უფრო თამამად დავუპირისპირდებით ქაჯობას და მტრობას, ჩვენი ქვეყანა უფრო სწრაფად წავა წინ – სიმშვიდისკენ, კეთილდღეობისკენ, ევროპისკენ და ნატოსკენ, – დაწერა 7 ივლისის გინებიან ღამეს კობახიძემ ფეისბუქგვერდზე.

მართალია, ამ თემას არ ეხება, მაგრამ საინტერესოა, როგორ შეაფასებს თავის ქმედებას. 20 ივნისს გადადგომაზე უარი რომ თქვა და მისი გადადგომის მოთხოვნით გამოსულ ახალგაზრდებს თვალები დასთხარეს.

გაბუნიას გმობას ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილიც შეუერთდა. მისი აზრით, პუტინისმაგინებელი რუსთავი 2 დანაშაულებრივი ორგანიზაციაა.

– ყოველგვარი „პოლიტკორექტულობის“ გარეშე მინდა ღიად დავაფიქსირო ჩემი პირადი მოსაზრება: არ არსებობს დღეს ქვეყანაში იმაზე უფრო ბინძური და ანტისახელმწიფოებრივი ძალა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა და მათი ტელეარხი რუსთავი 2.

ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც ყოველდღე გეგმავს და ახორციელებს საშიშ პროვოკაციებს სახელმწიფოს და ხალხის წინააღმდეგ.

რაც მოვისმინეთ რ2-ის ეთერში, არის ჩვენი ქვეყნის და თანამოქალაქეების წინააღმდეგ დაგეგმილი მორიგი მზაკვრული შეთქმულების ნაწილი, ისევე, როგორც ხვალ დაანონსებული ე.წ. „ლგბტ“ წარმომადგენლების „პროვოკაციული მარში“, რომელიც რეალურად იმართება ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებით, – ვკითხულობთ ღარიბაშვილის ფეისბუქგვერდზე.

მეოცნებეთა მყისიერმა რეაქციამ საზოგადოებაში მყისიერი ეჭვები გააჩინა. მაგალითად, ხალხს გაუკვირდა, რატომ გადაირია „ოცნების“ ხელისუფლება ასე ძალიან პუტინის გინებაზე, მაშინ როცა, ივანიშვილის გინებაზე არანაირი რეაქცია არ ყოფილა. რუსთავი 2-ის ეთერიდან ნიკა გვარამიამ არაერთხელ აგინა „ოცნების“ მამას.

ამ ეჭვების გასაფანტავად მმართველმა პარტიამ დავით მათიკაშვილს გააკეთებინა განცხადება. ამ უკანასკნელმა საერთოდ საოცრება თქვა.



მისი თქმით, მყისიერი რეაქცია იმიტომ ჰქონდა ხელისუფლებას, რომ საფრთხე იყო მყისიერი.

ეტყობა, ამ მყისიერმა საფრთხემ დარაზმა საზოგადოების ერთი ნაწილი და რუსთავი 2-ის ოფისთან გააქცია.

მათი ნაწილი ბოდიშის მოხდას ითხოვდა, ნაწილი კი რუსთავი 2-ს გადადგომას სთხოვდა.

რუსთავი 2-ის ოფისთან პუტინის ღირსების დასაცავად იყო მისული სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძეც.

ვის ვის და სოხუმის უნივერსიტეტის რექტორს ყველაზე მეტად უნდა სძულდეს პუტინი, რადგან რუსეთის დამსახურებაა, რომ დღეს სოხუმის უნივერსიტეტი თბილისში მოღვაწეობს.

ისევ მეოცნებეთა მყისიერ რეაქციებს დავუბრუნდები გინებაზე და ეს ხალხი ასეთი ოპერატიულობით არასდროს გამოირჩეოდა. მათ არც რუსული ოკუპაცია გაუპროტესტებიათ, არც რუსების მიერ ქართული მიწიდან ქართველების გატაცება და არც ცხინვალსა და სოხუმში ქართველების სასაფლაოების გადათხრა.

და კიდევ, მეოცნებეთა მხრიდან ვინმეს გინებაზე ყურებზე ხელების აფარება ცოტა სასაცილოა. მით უმეტეს, იმ ხალხის მხრიდან, რომლებმაც გიორგი კვირიკაშვილის წარმოთქმულ გინებაზე ტაშის კვრით ხელები გადაიტყავეს.

არადა, მაშინ ეს კაცი საქართველოს პრემიერი იყო და პარლამენტში, კამერების თვალწინ აგინა ოპოზიციის ლიდერს – შენ მო---ავ კეთილებსო.

მაშინ „ოცნებამ“ განაცხადა, კვირიკაშვილიც ადამიანიაო. მაგ ლოგიკით გაბუნიაც ადამიანია.

კვირიკაშვილისგან განსხვავებით, რუსთავი 2-მა მაგინებელ ჟურნალისტს გინება დაუგმო. თვითრეგულირების ორგანომ საკუთარი ინიციატივით განიხილა 7 ივლისს გადაცემა პოსტ სკრიპტუმში, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას მიერ მომზადებული საავტორო ტექსტი, რომელიც მან გადაცემის შესავალ ნაწილში წარმოთქვა.

თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებით, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას სრულად შეუჩერდა უფლებამოსილება ორი თვით, ეს შეზღუდვა ეხება ყველა იმ გადაცემას, რომელსაც იგი ამზადებს ან/და მიჰყავს.

* * *

7 ივლისის გინებაზე ასეთი ერთსულოვანი მყისიერება კიდევ ბევრ კითხვას აჩენს.

8 ივლისიდან კი გიორგი გახარია აღარავის ახსოვდა. არადა ჯერ კიდევ ერთი დღის წინ ნახევარი საქართველო მის გადადგომას ითხოვდა (მეორე ნახევარი მასზე იყო გადაფოფრილი).

# „კოალიციური მთავრობა არაფორმალურ მმართველობას დაასრულებს“

## ავთანდილ დემეტრაშვილი: „პროპორციული სისტემის გატანას „ოცნების“ ნება სჭირდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებაზე საუბრობს.

***– ბატონო ავთანდილ, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული საარჩევნო სისტემის ცვლილება საკონსტიტუციო ცვლილებას საჭიროებს. თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, შეიძლება კანონპროექტი ჩავარდეს?***

– თუ ხელისუფლების მკვეთრი პოლიტიკური ნება არ არის საარჩევნო სისტემის შეცვლა, მაშინ ეს კანონპროექტი განწირულია.

კონსტიტუციის გადასინჯვის ორი გზა არსებობს: ერთი, ორი მესამედის უმრავლესობით და მეორე – სამი მეოთხედის უმრავლესობით.

თუ ცვლილებები კონსტიტუციაში ორი მესამედის უმრავლესობით იქნა მიღებული, მაშინ კანონპროექტი ამოქმედდება არა მაშინვე, არამედ მომდევნო პარლამენტის მიერ უნდა იყოს დამტკიცებული, რომელიც 2020 წლის არჩევნების შედეგად დაკომპლექტდება.

რაც შეეხება კონსტიტუციის სამი მეოთხედით გადასინჯვას, ამ შემთხვევაში ცვლილებისთვის 113 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო. ამიტომ, თუ ეს საპარლამენტო უმრავლესობის მკვეთრი პოლიტიკური ნება არ იქნება, სულაც არ არის გასაკვირი, რომ 113 დეპუტატის მხარდაჭერა ვერ მოიპოვოს კანონპროექტმა.



***– ამ შემთხვევაში კანონპროექტი ჩავარდნისთვისაა განწირული?***

– რასაკვირველია! თუ მაჟორიტარების ნახევარზე ოდნავ მეტი უარს იტყვის, მაშინ რაც უნდა მხარი დაუჭიროს ოპოზიციამ, ცვლილების განხორციელებისთვის მაინც არ იქნება საკმარისი მხარდაჭერა.

დამერწმუნეთ, მხოლოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ნებაზე არის დამოკიდებული პროპორციული სისტემის ბედი.

მე თავად არ ვარ პროპორციული სისტემის მომხრე.

***– არსებულ სისტემას უჭერთ მხარს?***

– დიახ, ცხადია, კორექტივებით, ვგულისხმობ ორპალატიან პარლამენტს. ზედა პალატა დაკომპლექტდეს მაჟორიტარებით, ქვედა კი – პროპორციულით. ამის შესახებ ჩანაწერი კონსტიტუციაში დღესაც არსებობს. ეს იქნებოდა ჩემთვის იდეალური ვარიანტი. შემიძლია განვითარებული დემოკრატიების მაგალითები დაგისახელოთ: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია.

***– ნულოვანი ბარიერის პლუსებზე და მინუსებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ბუნებრივი ბარიერის ეს პოზიტივი და ეს პირველ რიგში პარლამენტის პლურალიზმია. მე მახსენდება 1992-95 წლების პარლამენტი, სადაც 15 პარტია იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული მსოფლმხედველობისა და შეხედულებების პარტიები იყო წარმოდგენილი, ამ პარლამენტმა კონსტიტუცია მიიღო.

მაგრამ არის კი კომპრომისული განწყობა დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში?! მეშინია, რომ ასეთი განწყობა არ იყოს და პარლამენტი ქმედუუნარო გახდეს.

***– ამ შემთხვევაში რა ხდება?***

– პირველ რიგში, ეს ხდება პოლიტიკური არასტაბილურობის საფუძველი. ეს შეიძლება სერიოზული საფრთხე იყოს. 5 თვე დასჭირდა ანგელა მერკელს, რომ კოალიციური მთავრობისთვის მიეღწია.

კოალიციური მთავრობა თუ შეიქმნება, არაფორმალურ მმართველობაზე საუბარი დასრულდება. ბიძინა ივანიშვილს აღარ ექნება ბერკეტი, რომ მთავრობა მართოს. ესეც არის სერიოზული პლუსი.

***– ნულოვანი ბარიერი სწორედ იმიტომ შემოიღეს, რომ პატარ-პატარა პარტიები მოისყიდოს „ოცნებამ“ და მათთან შექმნას კოალიცია და არა – რეალურ ოპოზიციასთან. რამდენად რეალურია ეს სცენარი?***

– ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენ მანდატს მოიპოვებს „ქართული ოცნება“. თუ 35-40% მოიპოვა, მაშინ 10-11%-ის შეგროვება პატარ-პატარა პარტიებთან ძალიან გაუჭირდება. ამიტომ იძულებული იქნება, მსხვილ პარტიებს მიმართოს.

საპარლამენტო რესპუბლიკა კოალიციური მთავრობების გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

***– საუბარია არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობაზე. რას იტყვით?***

– კატეგორიულად არ ვარ ამის მომხრე. სავალდებულო ნიშნავს გარკვეული სანქციის არსებობას. რა, ადამიანები უნდა დაისაჯონ?! არა, ამის მომხრე არ ვარ.

# ნინია კაკაბაძე: „ვინმეს აქვს კიდევ კითხვა, რომ ჩვენი მთავრობა რუსეთის სატელიტი არ არის?!“

## „გაბუნიას უგემოვნო, მდარე ხარისხის ტექსტს არანაირი გამართლება არ აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი



კვირა საღამოს „რუსთავი 2“-ის გადაცემა პიესის წამყვანმა გიორგი გაბუნიამ გადაცემის მონოლოგში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს პირდაპირ ეთერში რუსულად აგინა. საზოგადოების ნაწილმა ეს რუსეთის მიმართ პროვოცირებად აღიქვა. ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის წარმომადგენლები გაბუნიას დამგმობ განცხადებებს ერთმანეთს ასწრებდნენ.

განცხადება დაგმეს ოპოზიციის წარმომადგენლებმაც. მას გაემიჯნა მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, ხოლო არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ გაბუნიას ფორმა დაუწუნა და გამოხატულებას იდიოტიზმი უწოდა.

კიდევ უფრო შორს წავიდა საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელმაც რეაგირებისკენ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, ხოლო ღამით აქცია გაიმართა „რუსთავი 2“-თან, ტელეკომპანიის მიმართულებით კვერცხები ისროლეს და არხიდან გიორგი გაბუნიას და ნიკა გვარამიას წასვლა მოითხოვეს.

გიორგი გაბუნიას ეპატაჟისა და ხელისუფლების რეაქციებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პუბლიცისტი **ნინია კაკაბაძე** საუბრობს.

***– გასაგებია, რომ ჟურნალისტურ სტანდარტებს გასცდა გიორგი გაბუნიას მონოლოგი, მაგრამ მეორეა ის განცხადებები, რაც ვიხილეთ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, ვნახეთ საგარეო უწყების განცხადებაც და ასევე აქცია „რუსთავი 2“-თან. რასთან გვქონდა საქმე?***

– ჩემი შთაბეჭდილებაც ის რეალური სურათია, რომელსაც ჩვენ ყველანი ვხედავთ. ის, რომ გაბუნიას წინასიტყვაობა გადაცემაში იყო უგემოვნო ანტიჟურნალისტიკა, მდარე ხასიათის რაღაც ტექსტი, ამაზე ყველა ვთანხმდებით და ამას არ სჭირდება მიტინგების მოწყობა. ჟურნალისტთა თემი ამას საკადრის პასუხს გასცემდა და გააკეთა კიდეც ეთიკის ქარტიამ ეს, როდესაც მაშინვე გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ეს არ არის მედიის სტანდარტი.

მაგრამ შემდეგ რაც მოხდა და განვითარდა, პირველ რიგში კი საქართველოს მთავრობის წევრთა განცხადებებს ვგულისხმობ, ეს არის ის რეალური სურათი, რომელიც ჩვენ წინაშეა. ისინი მუდმივად მუხლს იდრეკენ რუსეთის წინაშე. აქედან ბოდიშები შეუთვალეს რუსეთს, კერძოდ კი, ვლადიმერ პუტინს, რომელიც შეურაცხყოფილი იქნა, კერძოდ კი, გიორგი გაბუნიას მიერ.

20 ივნისს რაც მოხდა, როდესაც გავრილოვი აღმოჩნდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში თავმჯდომარის სავარძელში, ამასთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებიათ. მაშინ, როდესაც რამდენიმე ათასი ადამიანი პარლამენტთან შეიკრიბა, იქამდე, სანამ დარბევა დაიწყებოდა, ჩვენ ველოდებოდით მათ ოფიციალურ განცხადებას. ამასთან დაკავშირებით არ გაუკეთებიათ არანაირი განცხადება და გუშინ ერთმანეთს ასწრებდნენ ბოდიშების მოხდას იმისთვის, რომ როგორმე რუსეთის ფედერაციაში ჩასულიყო მათი მონანიება და მათი წუხილი გაბუნიას ტექსტთან დაკავშირებით.

სასაცილოა, როცა ტელეწამყვანის ტექსტის გამო მინისტრები იხდიან ბოდიშებს.

ვინმე ჭკუათმყოფელს მართლა ჰგონია, რომ ტელეწამყვანის ტექსტის გამო რუსეთმა ომი შეიძლება გამოგვიცხადოს ან რაიმე პრობლემა შეგვექმნას? ვინ არის გიორგი გაბუნია ვლადიმერ პუტინისთვის ან ამხელა რუსეთისთვის?! ერთი კერძო ტელეარხის ერთი რიგითი ჟურნალისტია. წარმოუდგენელია, რომ ამის გამო მთელი მთავრობა ბოდიშს იხდის რუსეთის წინაშე.

***– ის ასოციაციაც ხომ არ გაგიჩნდათ, რომ ეს ბოდიში მხოლოდ ამ დღეს არ ეკუთვნოდა და გავრილოვის ეპიზოდსაც ეხებოდა?***

– გავრილოვის ღამე მოაწყვეს მაგ ბოდიშის მიზნით, გავრილოვის გამო დაარბიეს საკუთარი მოქალაქეები, იმისთვის, რომ ბოდიში მოეხადათ გავრილოვისთვის და ეჩვენებინათ, რომ ანტიპუტინურად განწყობილ ადამიანებს ასე უმკლავდებიან და ასე გაუმკლავდნენ იმ ადამიანებს, ვინც გავრილოვის იმ სავარძელში ჯდომას აპროტესტებდნენ. მათ ამ დღეების განმავლობაში არაერთი ბოდიში მოუხადეს და თუ კიდევ ვინმეს აქვს კითხვის ნიშნები, რომ ეს მთავრობა არ მუშაობს რუსეთზე და არ არის პირდაპირ სატელიტი, არ ვიცი. ასეთი ნათელი სურათი ბოლოს როდის იყო, არ ვიცი.

***– განცხადებების პათოსი იყო, რომ ეს არ დარჩება რეაგირების გარეშე და ა. შ. რას ნიშნავს ეს, რას ელოდებით?***

– არ ვიცი, იქნებ თავად კარგად აგვიხსნას ხელისუფლებამ, რას ნიშნავს განცხადება, რომ რეაგირების გარეშე არ დარჩება. ასეთი განცხადების გამო თუ ისინი აპირებენ „რუსთავი 2“-ზე რაიმე ტიპის იერიშის მიტანას, არ ვიცი.

მე ამ მთავრობის ხელში უკვე არაფერს აღარ გამოვრიცხავ, მაგრამ ცოტა უნდა იკითხონ, რისი უფლება აქვთ და რისი არა. ეს არის კერძო ტელევიზია და მათ უზრდელობის უფლებაც აქვთ. ეს პროფესიონალების განსასჯელია და არა – მთავრობის წევრების.

***– ცენზურის დაკანონების მცდელობას ხომ არ უნდა ველოდოთ?***

– კი, ყოველ შემთხვევაში, ე. წ. ბექაურის კანონპროექტს ისინი ძალიან მალე მყისიერად აქცევენ კანონად და ჩვენ ყველანი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრობლემის წინაშე ვიდგებით.

***– ანუ, ფრაზა „რეაგირების გარეშე არ დარჩება“ ამასაც გულისხმობს?***

– არა მგონია, მაგათ ეგ ეგულისხმათ, ცხადია, აქ უფრო სხვა რაღაცას გულისხმობდნენ. მაგრამ ერთი ვიცი, რომ ეს კანონი იქნება მიღებული და ეს შედეგი დადგება.

***– ჟურნალისტმა როგორ უნდა მოაწყოს პროვოკაცია, სახელმწიფო პოლიტიკას წარმართავს?***

– რა თქმა უნდა, არა. მით უმეტეს, რომ რეალობაში ეს არის ოპოზიციური არხი. წარმოიდგინეთ რუსეთში ტელეკომპანია „დოჟდი“ რომ არის არხი, იმის ჟურნალისტმა რომ გააკეთოს რომელიმე ქვეყნის ან მმართველის საწინააღმდეგოდ, ეს არანაირად არ გამოხატავს რუსეთის პოზიციას, ხომ?! ამიტომ, წარმოუდგენელი და გაუგებარია, რას საუბრობენ, თვითონაც კი არ იციან.

***– საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაზე როგორია თქვენი შეფასება, როცა მან მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს?***

– მართლა მიჭირს გონივრული შეფასების გაკეთება. ვერ წარმომიდგენია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა რა უნდა გააკეთონ, რა რეაგირება უნდა მოახდინონ, ან რა ტიპის უკმაყოფილება. წარმოუდგენელია. არ მესმის, რას გულისხმობენ.

***– ხალხის შეკრება სპონტანურად მოხდა თუ გგონიათ, რომ ამაშიც ხელისუფლების ხელი ურევია?***

– ეს ხალხი ზუსტად იგივე ხალხია, რომელიც ხან ლგბტქ პრაიდის ჩატარებას აპროტესტებს, ხან „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ იკრიბება. ეს არის საქართველოს მთავრობის არაფორმალური ძალადობრივი ჯგუფი. ე. წ. არაფორმალური პოლიცია, რომელსაც ისინი არასდროს არაფერში ხელს არ უშლიან, ამ შემთხვევაში მთავრობა. რა თქმა უნდა, ისინი წაქეზებულები იქნებოდნენ მთავრობის მხრიდან და სურვილი მათაც ექნებოდათ.

***– მედიამ როგორ უნდა დაიცვათ თავი, როდესაც შეიძლება სიტყვა გაგვექცეს ეთერში ან ეთერს მიღმა, როგორ უნდა მოვიქცეთ?***

– თავდაცვის ერთადერთი საშუალებები თვითრეგულირების ორგანოების ჩამოყალიბებაა, უფრო ქმედითი უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის. ჩვენ უნდა ვიყოთ პასუხისმგებლები ჩვენს სიტყვებზე. ჩვენ უნდა ვიყოთ ანგარიშვალდებულნი ჩვენს პროფესიულ კავშირებთან და ერთმანეთთან და არა – ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

ჩვენი დანაშაულიც არის ის, რომ აქამდე ვერ შევქმენით ეფექტური თვითრეგულირების ორგანოები სხვადასხვა მედიაში, რომელსაც ექნება ერთი პროფესიული სტანდარტი, რომელსაც ყველა დაიცავს. სანქციები უნდა იყოს არა ისეთი, რომ მოხსნან ან დააპატიმრონ, არამედ თვითონ თვითრეგულირების ორგანო შეიმუშავებს ისეთს, რომელიც პასუხისმგებლობას თავად ჟურნალისტებს უფრო გაუმძაფრებს.

***– ამ შემთხვევაში თავდასხმებისგან რომ დავიცვათ თავი, იმასაც ვგულისხმობ, რაც ვიხილეთ გაბუნიას ეპიზოდთან მიმართებით?***

– ამ თავდასხმებისგან ვერ დავიცავთ თავს. ქვეყანაში რომ არსებობდეს პოლიცია, რომელიც ადამიანებს იცავს, უნდა გვიცავდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩამოშლილია სახელმწიფო. არ ვიცით, როგორ დავიცვათ თავი, როგორ გამოვხატოთ აზრი და არ გვეშინოდეს ფორმიანი ან უფორმო პოლიციელების, ან შეიძლება დათვისთვის განკუთვნილი ტყვიები დაგვიშინონ, ან კომბლებით დაგვესხან თავს.

***– ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმაც დაგმეს გაბუნია და ის პრაქტიკულად მარტო დარჩა. ამაზე რას იტყვით?***

– გაბუნიას უგემოვნო, მდარე ხარისხის ტექსტს არანაირი გამართლება არ აქვს. სამწუხაროდ, ვერავინ მას ვერ დაიცავს. მან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები მკაცრად იყო დარღვეული. ახლა გაბუნიას დაცვა არ მგონია მნიშვნელოვანი, ახლა ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი უსაფრთხოება და პოზიცია, რათა რუსეთის ქვედანაყოფები ჩვენს ქვეყანაში ასე აქტიურად არ მოქმედებდნენ.

## გიგი უგულავა: „ვასაძემ ჯვარი გადააკეთა კომბლად და ასე, ვითომ ქრისტიანი, დასდევს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს“

ჩვენ ხელზე გვაქვს მშვიდობის მანიშნებელი ხელსახვევი, ბატონ ვასაძეს კი ხელზე აქვს ქამრები, ჯვარი გადააკეთა კომბლად და ასე, ვითომ ქრისტიანი, დასდევს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, – ამის შესახებ პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ განაცხადა.

მისივე განცხადებით, „ევროპული საქართველო“ უერთდება ანტისაოკუპაციო აქციას და მეორე მხარეს დგანან პრორუსული იდეოლოგიის მქონე ადამიანები.

– ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ საქართველოში მოხდა აბსოლუტური ლუსტრაცია, საქართველოს ხელისუფლება, ივანიშვილის თამადობით, სხვადასხვა ძალადობრივი ჯგუფები, რომლებიც აქამდე აფიქსირებდნენ ღიად პრორუსულ იდეებს, ღიად ჩადგნენ უნისონში რუსეთის მთავრობასთან, კრემლის პრესსპიკერთან ერთად ქართველი ხალხის წინააღმდეგ პუტინის დაცვაში. წინ არის ჩვენი სამშობლო, მისი თავისუფლება, ევროპისკენ გზა და იქით მხარეს დგანან ადამიანები, რომლებიც ასე ღიად, ურცხვად გველაპარაკებიან რუსული ტექსტებით და მოგვიხმობენ დედა რუსეთისკენ. აქ არიან შეკრებილი ადამიანები, რომლებიც არიან განწყობილი მშვიდობისკენ, ჩვენ გვაქვს ხელზე მშვიდობის მანიშნებელი ხელსახვევი, ბატონ ვასაძეს კი ხელზე აქვს ქამრები, ჯვარი გადააკეთა კომბლად და ასე, ვითომ ქრისტიანი, დასდევს განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, – განაცხადა უგულავამ.



## კახი კალაძე: „რუსთავი 2-ის დახურვის მოთხოვნის დაყენება სწორი არ არის“



თბილისის მერი კახი კალაძე გიორგი გაბუნიას სკანდალურ განცხადებას გამოეხმაურა.

კალაძის თქმით, აღნიშნულის გამო, რუსთავი 2-ის დახურვის მოთხოვნის დაყენება სწორი არ არის, რადგან ამით მხოლოდ შინაური და გარეული მტერი გაიხარებს.

– ჩვენ ვამაყობთ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული გვაქვს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება. ცხადია, ამ პროგრესს ყოფილი ხელისუფლების ნარჩენები ვერ ეგუებიან და ყველა საშუალებით ცდილობენ სიტუაციის არევას.

ჩვენ გვაქვს შეცდომები განვითარების რთულ გზაზე, უშეცდომო არავინაა. ვინაიდან დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კანონმორჩილების დამკვიდრება და ანგარიშვალდებულება ჩვენი ქვეყნის პარტნიორებთან, სხვადასხვა დესტრუქციულ ძალას უადვილებს ამ პროცესში არეულობის შეტანას.

ბოლო პერიოდში მომრავლებული პროვოკაციების რეკორდი მოხსნა რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უმსგავსო საქციელის გამო კერძო არხის დახურვის მოთხოვნის დაყენება სწორი არ არის. ეს არის სწორედ ის, რაც ამ დესტრუქციულ ძალებს სურთ. ეს პროვოკაცია სწორედ ამისკენ იყო მიმართული, რომ საზოგადოების იმპულსური პროტესტი რამენაირად მედიაზე ზეწოლად გაესაღებინათ.

ჩვენი მოქალაქეების და ხელისუფლების გამოწვევაა, როგორც ვიცავდით წესრიგს და გამოხატვის თავისუფლებას ამ ბოლო დღეების განმავლობაში რუსთაველის პროსპექტზე, ეს მოცემულობა შევინარჩუნოთ. არ მივცეთ სხვადასხვა მოთხოვნებით გამოსულ მომიტინგეებს დაპირისპირების და რაც მთავარია, კანონდარღვევის საშუალება.

მეგობრებო, ნორმალურ საზოგადოებაში, ქვეყნის მოყვარული ადამიანები თავიანთ სიტყვის თავისუფლებას სხვისი თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე არ იცავენ.

ნუ გავახარებთ შინაურ თუ გარე მტერს, – აღნიშნა კახი კალაძემ.

## ნიკა მელია: „ჩვენ თვალწინ იცვლება რეალობა, ჩვენ თვალწინ იხსნის ნიღაბს ოკუპანტის აგენტურა“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. ნიკა მელიას თქმით, ოკუპანტი ქვეყნის აგენტურა ნიღაბს იხსნის:

– ჩვენ თვალწინ იცვლება რეალობა, ჩვენ თვალწინ იხსნის (უკვე მერამდენედ) ნიღაბს ოკუპანტი ქვეყნის აგენტურა, ჩვენ თვალწინ ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელიც ავლენს გმირობას, უჩვეულო სიმამაცეს.

დიახ, იცვლება დრო და იცვლება როგორც გმირობის ჩადენის, გამოვლენის, ისე სამშობლოს, თავისუფლების დაცვის ფორმებიც და საშუალებებიც.

ვწუხვარ, რომ ცნობილი მიზეზების გამო ვერ შევუერთდები ხალხს, რომელიც იცავს სამშობლოს, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის.



# პაატა ზაქარეიშვილი: „კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია კვლავ კრიზისული და მძიმეა. რამდენად მოსალოდნელია ვადამდელი არჩევნები?***

– გამორიცხული არაა. 50/50-ზეა. თუ მართლა კრიზისში შევიდა სიტუაცია, არსებობს ერთი გამოსავალი, ვადამდელი არჩევნები. მე ამას ადრეც ვამბობდი, ვიდრე კრიზისი დაიწყებოდა, ვიდრე გავრილოვის ღამე მოხდებოდა. თუ დღეს ვინმეს აწყობს ვადამდელი არჩევნები, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლება, რადგან კრიზისი ღრმავდება და სწორედ მას აწყობს, რაც შეიძლება სწრაფად ჩატარდეს არჩევნები.

***– და ეს ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი იქნება?***

– რასაკვირველია. ამით რამდენიმე კურდღელს მოკლავს ხელისუფლება. ჯერ ერთი, მათი პარტნიორების გულს მოიგებს.

***– ვინ არიან მათი პარტნიორები?***

– ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“. „ოცნების“ გარდა, სწორედ მათ არ აწყობთ პროპორციული სისტემა დღეს. პროპორციული სისტემის შემოღების შემთხვევაში, სწორედ ეს სამი პარტია დაკარგავს ადგილებს პარლამენტში. ამიტომ თუ წავლენ ვადამდელ არჩევნებზე, მაშინ უარი ითქმება პროპორციულ სისტემაზე, ჩატარდება არჩევნები ისევ ძველი მაჟორიტარული სისტემით და დაახლოებით იგივე სურათი იქნება პარლამენტში, რაც ახლაა და ეს აწყობს სწორედ ამ 3 პარტიას.

ამიტომ ვინც დღეს მიტინგებს ატარებს, მე მათ პატივს ვცემ, ახალგაზრდები არიან და როგორც თვითონ ამბობენ, დეპოლიტიზირებულები არიან. კი ბატონო, მათ აქვთ უფლება, თქვან ასე, როგორც მე მაქვს უფლება, ეს არ დავიჯერო.

***– ეჭვი რატომ შეგაქვთ მათ გულწრფელობაში?***

– იმიტომ, რომ ასე ჩაბღაუჭება უკვე მკვდარ ფიგურაზე, გახარიაზე, რომელიც უკვე წასულია ამხელა ამბის შემდეგ, ხელს აძლევს იმ ხალხს, რათა შექმნან საფუძველი ვადამდელი არჩევნებისა და ხელიდან გაგვივარდეს ასეთი უნიკალური ინსტრუმენტი და უნიკალური პერსპექტივა, რაც შემოგვთავაზა „ქართულმა ოცნებამ“, განსხვავებით ნაციონალური მოძრაობისგან, რომელიც არასდროს გვთავაზობდა ამნაირ პერსპექტივებს თავის კრიზისების დროს.

ამ ხელისუფლებამ კი შემოგვთავაზა პერსპექტივა პროპორციული სისტემის და ეს ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

***– გახარია უკვე წასულიაო და რა იგულისხმეთ, ის უკვე დამთავრებულია, როგორც პოლიტიკური ფიგურა?***

– რა თქმა უნდა, როგორც პოლიტიკური ფიგურა დამთავრებულია, იმიტომ, რომ მასზე ჭიდაობა არის მხოლოდ 2 პარტიის ინტერესი.

გახარიას გაშვებით იგებს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა. ქულებს იწერს მომავალი არჩევნებისათვის, ეს ვადამდელი იქნება თუ რიგითი, ამას მნიშვნელობა არ აქვს.



დანარჩენ საქართველოს აწყობს მხოლოდ პროპორციული სისტემა, დანარჩენი ყველაფერი უკვე მეორადია. მათ შორის გახარიას ციხეში გაშვებაც კი. ეს მერე უნდა მოხდეს. დღეს რომ გახარია გაუშვან, ის წავა სახლში და ტახტზე წამოწვება. თუ მას ვაბრალებთ ამ საშინელ ბრალდებას, ამ ხალხის ჯანმრთელობის დაზიანებას, სახლში წასვლით ეს რაღაცები არ გვარდება. ეს უფრო სერიოზულია. წესით, ის უნდა მივუსვათ მერაბიშვილს. თუ ეს ასეა, ჯობია, რეჟიმი შევცვალოთ და არა მარტო გახარია გავუშვათ.

***– ასეთი ვერსიაც გაჩნდა, რომ გუნდის შიგნით გაუჩალიჩეს ივანიშვილს ეს სიტუაცია.***

– არა მგონია, ეს რეალობა იყოს. გუნდის წევრები ისეთი შეშინებულები და ისეთი დამფრთხლები არიან, კურდღლებივით არიან. ისინი ივანიშვილს ჯერ ხელში შესციცინებენ და მერე პირში.

***– ისედაც გამწვავებულ სიტუაციას ახლა პრაიდის თემაც ემატება. საუბარია, რომ ამის უკანაც კონკრეტული პოლიტიკური ძალების ინტერესები დგას. ასეა?***

– მე ამ მოძრაობას პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ უნდა ჩატარებულიყო ასეთი ღონისძიება ნორმალურ ვითარებაში. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ეს ხალხი და მათაც ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც სხვა ნებისმიერ მოქალაქეს. მაგრამ რაკი 22-ში უარი თქვეს პრაიდის ჩატარებაზე, იმიტომ, რომ დაძაბული ვითარება იყო, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ დღეს რატომ შეცვალეს გადაწყვეტილება, სიტუაცია ხომ არ გამოსწორებულა? ვითარება კიდევ უფრო გართულებულიც კია.

***– მაშინ რა ხდება?***

– ამ ფონზე მათი გადაწყვეტილება შეიძლება ხელოვნურიც იყოს და სიტუაციის გამწვავების მცდელობა იყოს, ვიღაცას ხომ არ აწყობს, ამ თემით ჩაანაცვლოს სხვა თემები.

***– გამოდის, რომ მართულია პროცესი?***

– მე არ მიყვარს კატეგორიული ლაპარაკი. მე ვუშვებ ამას, არ გამოვრიცხავ, რომ პროცესი მართული იყოს, თუმცა ასე პირდაპირ ვერ დავამტკიცებ ამას.

***– რამდენად გაღრმავდება პროცესები?***

– ასე ჩანს, რომ გაღრმავდება. არც ერთი მხარე არ ცდილობს სიტუაციის განმუხტვას. ორივე მხარე ჯიუტად აღრმავებს ვითარებას. სამწუხაროდ, ქართველებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია.

არანაირი მოქნილობა, ვამბობთ, ევროპელები ვართო და ერთი მისხალი ევროპელობა არ გაგვაჩნია ასეთი სიტუაციების დროს. მე თუ არ ვიქნები, მაშინ ჯანდაბამდე გზა ჰქონია ამ ქვეყანას, აი, ეს დამოკიდებულებაა, რაც ძალიან შემაშფოთებელია.

# რუსეთი საქართველოს გამო ეუთოს დაუპირისპირდა

## საქართველოს საგარეო უწყება არაპროფილურ საქმიანობაში ჩაერთო

მარიამ მჭედლიშვილი

რუსთავი 2-ზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას უფრო მეტი მონდომებით ცდილობს. თუმცა, სიტუაცია დაძაბულია და ამ ფაქტამდეც რთული იყო.

ამ ფონზე მოსკოვი გადაჭარბებული ემოციურობით გამოეხმაურა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას საქართველოს შესახებ, რიგითმა მოქალაქეებმა კი მოითხოვეს რუსეთის გამოსვლა ამ ორგანიზაციიდან.





საერთაშორისო ორგანიზაციებს ბევრჯერ მიუღიათ რეზოლუციები და განცხადებები იმის თაობაზე, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. არაერთხელ გამოთქმულა შეშფოთება ოკუპირებულ რეგიონებში დარჩენილი და იქიდან დევნილი მოსახლეობის გამოც.

ახლანდელი რეზოლუცია ჩრდილოელი მეზობლისათვის სხვებზე მეტად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა. მას წინ უძღოდა ანტისაოკუპაციო საპროტესტო აქციები თბილისში.

ორი დღის წინ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს კიდევ ერთ რეზოლუციას (პროექტის ავტორია სოფო ქაცარავა) რუსეთის მიერ საქართველოს ნაწილის ოკუპაციის შესახებ. რეზოლუციაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ და მიუთითებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები.

– რუსეთი თავის გადაწყვეტილებას არ შეიცვლის. ჩვენი პოზიცია ემყარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების ნებას, – აცხადებს რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩოვი.

კოსაჩოვი საქართველოს გამო ეუთოს დაუპირისპირდა და განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია თავის მოვალეობას არ ასრულებს:

– ორგანიზაცია ახერხებდა თავისი როლის შესრულებას ცივი ომის, ბლოკებს შორის დაპირისპირების დროს. ახლა ის ამას ვერ აკეთებს, იმიტომ, რომ 57 წევრი სახელმწიფოდან 29 ნატოში შედის. ეუთოს მოედანზე მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავს ნატოს აზრს. ნატომ ეუთო, ფაქტობრივად, გაანადგურა.

კოსაჩოვის თქმით, ახლანდელი რეზოლუციაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიციაა და მას არაფერი აქვს საერთო სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებასთან.

სენატორი ახმოვანებს კრემლის პოზიციას, რომლის თანახმად, რუსეთს საქართველოს ამ რეგიონებში განვითარებულ მოვლენებთან, ომებთან კავშირი არა აქვს:

– რეზოლუცია არ ითვალისწინებს, რომ საქართველოს კონფლიქტს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ისტორია არ დაწყებულა 2008 წელს. ჩვენ ყველანაირად ხელს ვუწყობდით შეთანხმების მიღწევას. როცა ნათელი გახდა, რომ ეს შეუძლებელია და საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს ეთნიკური კონფლიქტის გადაწყვეტის სამხედრო სცენარს, განვსაზღვრეთ ჩვენი პოზიცია, წავედით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. ეს იყო ერთადერთი საშუალება, გადაგვერჩინა ამ სახელმწიფოებში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოება.

ამ თემას რუსეთის მოქალაქეებიც გამოეხმაურნენ. საქართველოსა და ქართველების გმობის შემდეგ, ისინი ეუთოსაც მისდგნენ და მოითხოვეს, რომ რუსეთის დელეგაციამ დატოვოს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა. ამ ხალხისთვის ისიც გაუგებარია, რატომ დაბრუნდა რუსეთი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში.

შექმნილ გართულებულ მდგომარეობაში საქართველოს საგარეო უწყებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და ურთიერთობების დამყარების გარდა, არაპროფილური საქმეების კეთებაც უწევს.

სამინისტრომ დაგმო რუსთავი 2-ზე გასული ბილწსიტყვაობა და განაცხადა, რომ ამ გამონათქვამებს არაფერი აქვს საერთო სიტყვის თავისუფლებასთან და წარმოადგენს წმინდა წყლის პროვოკაციას. მისი მიზანია კიდევ უფრო დაძაბოს რთული ვითარება საქართველოსა და რუსეთს შორის.

– მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას და პრესის თავისუფლების საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს, სათანადო შეფასება მისცენ ტელეკომპანიისა და კონკრეტული ჟურნალისტის საქციელს, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაში.

# მოსალოდნელია თუ არა ბიუჯეტის სეკვესტრი ან გადახედვა



რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოსთვის ტურიზმსა და ავია მიმოსვლაზე დაწესებული სანქციების გამო, ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დაახლოებით 2 მილიარდ ლარს დაკარგავს. ამის ფონზე ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა ხელისუფლებას ბიუჯეტის სეკვესტრირება თუ არა, მისი გადახედვა მაინც მოუწიოს.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, იზიარებს თუ არა ეკონომიკის ექსპერტების აზრს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. ნათია თურნავა იმედოვნებს, რომ 2019 წელს სახელმწიფო დაგეგმილ ეკონომიკურ ზრდას მიაღწევს.

– ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ტურისტული ემბარგო არ გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი პროცენტის ვერ მიღწევას. თუმცა, რა თქმა უნდა, შეგვეძლო გაცილებით მეტი, რომ არა ეს გამოწვევა. ტურიზმის ადმინისტრაცია ეყრდნობა იმ მოლოდინს, თუ რა რაოდენობის რუსი ტურისტები ჩამოვიდოდნენ საქართველოში წლის ბოლომდე და რა შემოსავალი იქნებოდა მათგან მიღებული. ეს არის მილიონამდე ადამიანი, ვინც უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, რაც არის 700 მლნ დოლარის შემოსავალი. რა თქმა უნდა, ჩვენ გაქვს იმედი, რომ ეს ნაკადი მთლიანად არ შეწყდება და შემოსავალი არ დაიკარგება, მაგრამ, რასაც ვისმენთ ტურიზმის ინდუსტრიისგან, ძალიან ბევრი ჯავშანია გაუქმებული, აქედან გამომდინარე, ზარალი იქნება, – განაცხადა ნათია თურნავამ.

# გენადი ონიშენკო: „ქართული ღვინის წარმოება დაემხობა, თუ სანქციებს დავაკისრებთ“

საქართველოდან რუსეთში ღვინის შემოტანაზე აკრძალვა ქართული ღვინის წარმოებისთვის კრახით დასრულდება და ქართულ ეკონომიკას მთლიანად დააზიანებს. „ტასის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ჟურნალისტებს დუმის დეპუტატმა და რუსეთის ყოფილმა მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ განუცხადა.



მისი თქმით, რუსეთის კანონმდებლობა საშუალებას იძლევა სანქციები დააწესოს.

– მაშინ კი ქართული ღვინის წარმოება მართლაც დაემხობა, თუკი ჩვენ დავაკისრებთ სანქციებს, მაშინ ქართველმა ხალხმა უნდა მოკითხოს თავის პოლიტიკოსებს, ვისზე მუშაობენ – ვაშინგტონზე თუ საკუთარ ხალხზე, – განაცხადა ყოფილმა მთავარმა სანიტარმა.

მისი თქმით, ქართველი მწარმოებლები, რუსეთის მხრიდან აკრძალვის შემთხვევაში, ვერ შეძლებენ თავისი პროდუქციის სხვა ბაზრებზე გადამისამართებას. „საქართველოს ეკონომიკა დაემხობა და ვერავითარი ამერიკის შეერთებული შტატები მათ ვერ უშველის, – განაცხადა ონიშენკომ.

# აკაკი ცომაია: „ეს ფასია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იხდის იმის გამო, რომ არ უნდა რუსეთთან ურთიერთობა“



– ფულადი გზავნილები ესაა ფაქტორი, რომელიც 90-იანი წლებიდან მოდის. თავისთავად ცხადია, რომ გზავნილების აკრძალვა საქართველოს ეკონომიკაზე დიდ გავლენას მოახდენს. ეს ფასია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იხდის იმის გამო, რომ მას არ უნდა რუსეთთან ურთიერთობა. თავიდანვე შეცდომა იყო რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ზრდა და ეს იყო არასწორი პოლიტიკის შედეგი, – ასე აფასებს ეკონომიკური ექსპერტი აკაკი ცომაია რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ სანქციებს ფულადი გზავნილების აკრძალვასთან დაკავშირებით.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო მთავრობას სთავაზობს, აიკრძალოს საქართველოდან ღვინისა და „ბორჯომის“ იმპორტი – ამის შესახებ რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი სერგეი ნევეროვი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს. აღნიშნული საკითხის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში სწორედ დღეს იგეგმება.

ამას გარდა, დუმა ასევე აპირებს შესთავაზოს ხელისუფლებას, აიკრძალოს რუსეთიდან საქართველოში ფულადი გადარიცხვები.

– ბუნებრივია, ქვეყანა არის დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკაზე და რუსეთი არის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი. როდესაც ჩრდილოეთით არის მტერი, რომელიც ნებისმიერ მომენტში განახორციელებს სანქციებს და მისთვის ნებისმიერი ინსტრუმენტი (ფულადი გზავნილები, ადამიანები, ტურისტები) წარმოადგენს პოლიტიკურ ინსტრუმენტს, ის გამოიყენებს ამას. პოლიტიკა აქტიურად არის მიმართული სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე, თუნდაც აბაშიძე-კარასინის დაუსრულებელი შეხვედრები ავილოთ. საზოგადოებამ ირწმუნა, რომ რუსეთის ბაზარზე გასვლა მარტივია და იოლ შრომას წარმოადგენს. დაინახა რუსეთმა საზოგადოების რეაქცია, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ უნდა რუსული პოლიტიკის სიახლოვეს ყოფნა და გამოავლინეს თავიანთი კლანჭები. ბუნებრივია, ეს სანქციები საკმაოდ უარყოფითად იმოქმედებს. თუ ჩვენ გვსურს განვითარება, ნებისმიერი ხელისუფლების დროს, უნდა ვიზრუნოთ ბაზრის დივერსიფიცირებაზე, ინვესტორებთან, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან სწორედ ამაზე უნდა იყოს მუშაობა. ამას ყველაფერს ვაბრალებ ცალსახად ხელისუფლებას. რუსეთს ვერ დავაბრალებ, ის გამიკვირდებოდა, რომ ამ სიტუაციაში რუსეთს ეს ნაბიჯები არ გადაედგა, – აცხადებს აკაკი ცომაია

რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ მოსალოდნელი სანქცია რუსეთის მხრიდან ფულად გზავნილებზე საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან და ძლიერ დარტყმად არ აისახოს. ამასთან დაკავშირებით აკაკი ცომაია გამოსავალს გადასახადების შემცირებაში ხედავს, რადგან, მისივე თქმით, შემოსავლების სწორი გადანაწილება ხელისუფლების ძლიერი მხარე არ არის და არც არასდროს ყოფილა.

– როდესაც შემოსავალი მცირდება საზოგადოებაში, ეს შემოსავალი შემცირების მიმართულებითაც ნაწილდება ასიმეტრიულად. ქვეყანას თუ დააკლდა მილიარდი დოლარი, ეს მილიარდი დოლარი ნაწილდება – ვიღაცას 1000 დოლარით ნაკლები შეხვდება, ვიღაცას 100 დოლარით ნაკლები. ამ ასიმეტრიულ გადანაწილებაში მთავრობას აქვს თავისი როლი და ესაა საზოგადოების ბიუჯეტის სწორი განკარგვა. თუ მთავრობა უარს იტყვის ბიუჯეტის დახარჯვაზე, მან უნდა შეამციროს გადასახადები. თუ გადასახადებს არ შეამცირებს, ეს მდგომარეობა არ შემსუბუქდება და დამოკიდებული იქნება მთავრობის კეთილ ნებაზე, თუ როგორ გადაანაწილებს ის ამ შემოსავალს. ამ შემთხვევაში ვიცით, რომ მთავრობა ყოველთვის ცუდი გამანაწილებელია, მაგრამ ცალსახად ვიტყოდი იმას, რომ გადასახადები ყველა მიმართულებით მაქსიმალურად უნდა შემცირდეს, – აღნიშნა აკაკი ცომაიამ

ცნობისათვის, 2019 წლის 6 თვეში საქართველოდან რუსეთში ექსპორტზე გავიდა 25.582.447 ბოთლი ღვინო, რაც მთლიანი ექსპორტის 60%-ზე მეტია.

რაც შეეხება ფულად გზავნილებს, რუსეთიდან საქართველოში ყოველთვიურად საშუალოდ 30-35 მლნ დოლარი ირიცხება. 2019 წლის 5 თვეში რუსეთიდან საქართველოში 163,7 მლნ დოლარის გადმოირიცხა, რაც მთლიან გზავნილების თითქმის 25%-ს შეადგენს.

**კომერსანტი**

# ირაკლი ლექვინაძე: „დღეს ბიზნესგარემოს გამოწვევაა რუსული ბაზრიდან მისაღები შემოსავლების შემცირება“

დღეს ბიზნესგარემოს გამოწვევაა რუსული ბაზრიდან მისაღები შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება და ლარის კურსი – ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ირაკლი ლექვინაძის თქმით, შეხვედრაზე ბიზნესის მხრიდან დასმული საკითხების წრე საკმაოდ მრავალფეროვანი იყო.

– მთავრობასა და ბიზნესს შორის სამუშაო საკითხებს შორის რჩება რძის პროდუქტის დღგ-სგან განთავისუფლების საკითხი, რომელსაც აქვს მთავრობის მხარდაჭერა და ცვლილება პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში მუშავდება. დაისვა საკითხები თხევადი გაზისა და დიზელის საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აქტუალურია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც გარკვეულწილად არბილებს ახალი რეგულაციების გავლენას თამბაქოს ინდუსტრიაზე. ამასთან, საბანკო რეგულაციების შემსუბუქება დეველოპერული ბიზნესისთვის და ზოგადად, არსებული და დაგეგმილი რეგულაციების გავლენების ანალიზი და ამ მიმართულებით კიდევ უფრო ეფექტური კომუნიკაცია ბიზნესთან. ბიზნესგარემოს მიმართულებით გამოწვევებს შორისაა ლარის კურსი და რუსული ბაზრიდან მისაღები შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება – რუსეთიდან ტურისტების შემცირებისა და ამავე ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტზე არსებული და მოსალოდნელი შეფერხებები, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

ბიზნესომბუდსმენმა გამოყო ის საკითხები, რომლებიც წინა მსგავსი ტიპის შეხვედრაზე დაისვა და ამ დროისთვის შედეგი უკვე დადგა.

– მსგავსი ტიპის წინა შეხვედრაზე ბიზნესის მხრიდან დასმულ რიგ საკითხებზე დღეს უკვე გვაქვს შედეგი, მათ შორისაა ბიზნესომბუდსმენის სამართლებრივი დასკვნა ექსპორტში/ტრანზიტში მოქცეულ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ სრულად გაიზიარა და შედეგად ექსპორტში/ტრანზიტში მოქცეულ საქონელთან დაკავშირებით გაწეული მომსახურებები არც ერთ ეტაპზე არ მოხვდება დღგ-ს დაბეგვრის არეალში. ამას გარდა, ბიზნესის მოთხოვნის შესაბამისად კერძო სექტორსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის კომუნიკაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად გაიმართა სამი რეგიონული ფორუმი, –



განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა.

შეხვედრაზე ბიზნესმა კიდევ ერთხელ დასვა ე.წ „ოქროს სიის“ წესის გაუქმების გადავადების საკითხი და ბიზნესისთვის აღნიშნული შეღავათის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა ირაკლი ლექვინაძის განცხადებით ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა რჩება საკუთარ პოზიციაზე და ბიზნესომბუდსმენის აპარატს „ოქროს სიის“ საქმეზე შედეგი არ აქვს.

# ლექსო ალექსიშვილი: „ანტიდემპინგური კანონი წინააღმდეგობაშია ქვეყნის სტრატეგიულ ხაზთან“

საკონსულტაციო კომპანია PMCG-ს გენერალური დირექტორი ლექსო ალექსიშვილი ანტიკრიზისულ გეგმას და ნებისმიერ სხვა ქმედებას კრიზისში ყოფნის დროს ოპტიმიზმით არ უყურებს, რადგან თვლის, რომ ეს არის მაინც იმ კონკრეტული კრიზისული მდგომარეობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც შეიძლება ხშირ შემთხვევაში არ იყოს მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული და საერთო ჯამში ამან აგვრიოს კიდეც. ამის შესახებ ალექსიშვილი რუსეთის მხრიდან დაწესებული ავიასანქციების გავლენით ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მთავრობის მიერ დაანონსებული ანტიკრიზისული გეგმის კონტექსტში საუბრისას აცხადებს.



– მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა გვქონდეს ერთი სტრატეგიული ხაზი, თითქოს ეს ხაზი არსებობს. ის, რომ ქვეყანას სტრატეგიული ხაზი არ გააჩნია, არ არის სწორი. გააჩნია, ამ ხაზს მივყვებით, მაგრამ გზადაგზა ჩნდება ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც არ მოდის შესაბამისობაში ამ ხაზთან.

მათ შორის, მაგალითად, აბსოლუტურად გაურკვეველი რეგულაციები, რომელიც შემოდის, რომელიც ბიზნესისთვის არის დამატებითი წნეხი, გაუგებარია, რაში სჭირდებათ, ეს პოპულისტური ნაბიჯიც კი არ არის ხშირ შემთხვევაში, როცა ვაკვირდებით, რა ეფექტი უნდა მოიტანოს.

თითქოს ეს არის ძველი ეკონომიკური სკოლის იდეებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რომელსაც თანამედროვე რეალობაში არანაირი საფუძველი არ გააჩნია, – აცხადებს ლექსო ალექსიშვილი.

მაგალითისთვის მას ანტიდემპინგური კანონპროექტი მოჰყავს და ამბობს, რომ ეს კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის სტრატეგიულ ხაზთან.

– ახლა გვაქვს დღის წესრიგში ანტიდემპინგური კანონპროექტი. მე მგონია, ეს იქნება კიდევ ერთი კონკრეტული ნაბიჯი, რომელიც იქნება წინააღმდეგობაში და შეუსაბამობაში იმ გზასთან, რომელსაც ჩვენ მივყვებით და სწორედ მივყვებით.

ის, რომ საქართველო იყოს ღია ეკონომიკის მქონე, ის, რომ საქართველომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მსხვილი კორპორაციების შექმნა, ის, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის განვითარება, ის, რომ მან ხელი შეუწყოს სავაჭრო ფინანსურ ოპერაციებს, საქართველო უნდა დაეფუძნოს ამას, – აცხადებს გადაცემაში „ფორბსის კვირა“ ლექსო ალექსიშვილი.

# სოსო ფხაკაძე: „მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად შევამსუბუქოთ ნეგატიური შედეგი“

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრი ბევრი კომპანიაა ჩართული და ჩვენი ამოცანაა, დავიცვათ ჩვენი წევრების სამართლიანი ინტერესები, – ამის შესახებ საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის მიერ დაწესებული აკრძალვები საქართველოს ეკონომიკას დარტყმას მიაყენებს.

– ზოგადად, ეკონომიკა დარტყმას მიიღებს რუსული ემბარგოს გამო, ამას ყველა ვხედავთ. გვინდა, მაქსიმალურად შევამსუბუქოთ ნეგატიური ეფექტი, რომელიც მოჰყვება ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს. ყოველთვიურად უნდა დავაკვირდეთ, რა მდგომარეობაში ვიქნებით. დარწმუნებული ვარ, თუ არატრადიციული ნაბიჯების გადადგმაც მოუწევს ფისკალური კუთხით სახელმწიფოს, უნდა გადაიდგას, ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც იქნება გამართლებული იმ რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც შეექმნება, – განაცხადა ფხაკაძემ.

მისი თქმით, ჯერჯერობით მხოლოდ მოლოდინია.

– ამ ეტაპზე რამე კონკრეტული ნეგატიური, ფართომასშტაბიანი არ ხდება. ამიტომ როგორც ბიზნესი, ისე ხელისუფლება უნდა დააკვირდეს პროცესებს, უნდა იყოს ადეკვატური და მეტნაკლებად მყისიერი. ძალიან კარგი გეგმა გაგვაცნო ეკონომიკის მინისტრმა. ჩვენი ბაზრების დივერსიფიცირებაზე იყო საუბარი, მაგრამ ეს ერთ და ორ დღეში არ ხდება. ეს პროცესი აქამდეც მიმდინარეობდა და ახლა მეტი ინტენსივობით გაგრძელდება, – აღნიშნა საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა.



მისი თქმით, მოსალოდნელი ნეგატიური შედეგი მაქსიმალურად უნდა შემცირდეს.

– ჩვენი მთავარი ამოცანაა, ნეგატიური შედეგი, რომელიც შეიძლება, სანქციებს მოჰყვეს, მაქსიმალურად შევამსუბუქოთ ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესისთვის, – განაცხადა სოსო ფხაკაძემ.

აღნიშნული კომენტარი მედიასთან სოსო ფხაკაძემ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ გააკეთა. შეხვედრა სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა. მასში ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები, ივანე მაჭავარიანი და ნათია თურნავაც მონაწილეობენ.

რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები დღეიდან ოფიციალურად შეწყდა. ფრენების დროებით შეწყვეტის შესახებ ბრძანება რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა 21 ივნისს გამოსცა. პუტინმა რუსეთის მთავრობას ასევე დაავალა, საქართველოში დროებით მყოფი რუსეთის მოქალაქეები ქვეყანაში დაებრუნებინათ. ამასთან, დაავალა ტუროპერატორებს, აკრძალვის პერიოდში არ გასცენ საგზურები რუსეთიდან საქართველოში.

**1tv.ge**

# გურამ ფალავანდიშვილს სასამართლომ სიტყვიერი გაფრთხილება გამოუცხადა



ლევან ვასაძის თანამოაზრე გურამ ფალავანდიშვილი, რომელიც სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაშია მიცემული, სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო.

მას სასამართლომ სიტყვიერი გაფრთხილება გამოუცხადა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ნათია ტოგონიძემ გუშინ, 8 ივლისს, გამოაცხადა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გურამ ფალავანდიშვილის მხრიდან წვრილმან ხულიგნობას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ის სამართალდამრღვევად ცნო პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაში.

სასამართლო პროცესზე ორი მოწმე, ალექსანდრე ფალავანდიშვილი და დავით ლორთქიფანიძე დაიკითხნენ. დაკითხულმა მოწმეებმა სხდომის მიმდინარეობისას განაცხადეს, რომ გურამ ფალავანდიშვილს სამართალდამცავებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია და არც წინააღმდეგობა გაუწევია.

გურამ ფალავანდიშვილი სამართალდამცავებმა 20 ივნისს დააკავეს. მას 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავებიან, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, სიტყვიერ შეურაცხყოფასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას გულისხმობს.

ცნობისთვის, გურამ ფალავანდიშვილთან სამართალდამცავები გამოკითხვაზე დაბარების მიზნით უწყების ჩასაბარებლად მივიდნენ, როდესაც ფალავანდიშვილმა მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

# ბაჩანა შენგელია: „პროკურატურაში მოვითხოვე გიორგი გახარიას და მიხეილ ბატიაშვილის გამოკითხვა“




პროკურატურაში მოვითხოვე გიორგი გახარიას, მიხეილ ბატიაშვილისა და იმ ადამიანების გამოკითხვა, რომლებმაც ია კერზაიას სამსახურიდან გათავისუფლება დაგეგმეს.

ამის შესახებ გუშინ, 8 ივლისს, ზუგდიდის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიას შვილმა ბაჩანა შენგელიამ „ინტერპრესნიუსს“ გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვის შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, პროკურატურას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა წინასაარჩევნოდ გამართულ შეხვედრაზე, სადაც შენგელიას თქმით, დაიგეგმა ია კერზაიას სკოლის შემოწმება და სამსახურიდან გათავისუფლება.

– პროკურატურას მივაწოდე დეტალური ინფორმაცია ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც წინასაარჩევნოდ გაიმართა და რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი გახარია ზუგდიდში, გუბერნიის შენობაში, სადაც გადაწყდა ია კერზაიას სკოლის შემოწმების და გათავისუფლების საკითხი.

გახარიას მოახსენეს, რომ ია კერზაია იყო სკოლის დირექტორი, რომელიც არ თანამშრომლობდა „ოცნებასთან“ და არ იყო მისი აგიტატორი, შესაბამისად რამე უნდა ეღონათ, რომ სკოლებში დაერეგულირებინათ სიტუაცია.

გახარიამ დაურეკა განათლების მინისტრს, ხალხის თანდასწრებით და უთხრა, რომ მეექვსე სკოლის დირექტორისთვის გამოეგზავნათ შემოწმება და გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან, იმიტომ, რომ არ იყო ზურაბიშვილისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი.

პროკურატურას დეტალებში მოვახსენე მონაწილე პირების ვინაობა, იქ შემდგარი საუბრები და ყველაფერი აღვუწერე, მივეცი დეტალური ჩვენება. ასევე მივაწოდე კადრები, სადაც ჩანს, ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ, როგორ გამოდიან და ინტერვიუს აძლევენ, მათ შორის გუბერნატორი, შს მინისტრი, სხვადასხვა ქალაქების მერები და მოვითხოვე მათი გამოკითხვა. რაც შეეხება ბატიაშვილს, ის არის მთავარი შემსრულებელი და შემოქმედი პირი ამ დევნის, მან მოაწერა ხელი აქტებს და გააგზავნა ჯგუფი ზუგდიდში, – განაცხადა შენგელიამ.

შეგახსენებთ, ზუგდიდის მეექვსე სკოლის დირექტორი ია კერზაია 2018 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა. კერზაიას შვილი ბაჩანა შენგელია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას მასზე განხორციელებულ პოლიტიკურ ზეწოლას უკავშირებდა, რომელსაც, მისი მტკიცებით, კერზაია ხელისუფლებისგან განიცდიდა.

კერძოდ, ბაჩანა შენგელია, ბოლო პერიოდში სკოლაში აუდიტის სამსახურის შესვლას პედაგოგზე ზეწოლად აფასებდა.

# მირზა სუბელიანმა პენიტენციური დაწესებულება დატოვა




ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით მსჯავრდებულმა, პროკურატურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა მირზა სუბელიანმა პენიტენციური დაწესებულება გუშინ, 8 ივლისს, დილით დატოვა.

სუბელიანს გლდანის მე-8 პენიტენციურ დაწესებულებასთან ახლობლები და ოჯახის წევრები დახვდნენ. მას ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.

მირზა სუბელიანი 2018 წლის 9 ივნისს დააკავეს. მას საგამოძიებო უწყებამ ბრალი დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის წაუყენა, თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მუხლის კვალიფიკაცია შეიცვალა. მირზა სუბელიანი სასამართლომ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის დაფარვისთვის დამნაშავედ ცნო და 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციებში სუბელიანის სხვა შესაძლო ბრალეულობაზეც არის საუბარი. კერძოდ კი, კომისია მიიჩნევს, რომ სუბელიანმა მისი ჩარევის შედეგად, გამოძიების მიკერძოებულობა გამოიწვია, ასევე ზემოქმედება მოახდინა გამოსაკითხ პირებზე, გამოძიებას ხელი შეუშალა და ცრუ ჩვენება მისცა.

# მარტვილში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მარტვილის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის ჭრისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. მოქალაქე 10 მ3 მურყნის სახეობის ხე-ტყის ტრანსპორტირებას, ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ახდენდა. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ავტომანქანა დალუქეს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი შეადგინეს.

ინფორმაციას გარემოს და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

# სიმონ ნოზაძე: „რუსეთი ოკუპანტია“

გულიკო ბალაძე




საქართველოს პარლამენტის წევრი, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე სიმონ ნოზაძე „ახალ თაობასთან“ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს აანალიზებს.

***– თქვენი შეფასებით, გავრილოვის თბილისში ყოფნის შემდეგ, საქართველოში მოვლენები როგორ ვითარდება?***

– გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასმა შეცდომა იყო. ამისთვის „ქართულმა ოცნებამ“ დიდი ფასი გადაიხადა – პარლამენტის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადადგა. შემდეგ „ოცნებამ“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური წანამძღვრები შექმნა.

***– რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ საარჩევნო სისტემის ცვლილებას და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, კობახიძის გადადგომამ და საარჩევნო სისტემის შეცვლამ, რომ ვითარება უნდა დაწყნარებულიყო. დაწყნარდება კიდეც.

***– ვითარება არ წყნარდება, რადგან გახარიას გადადგომას მოითხოვენ.***

– გახარიას გადადგომას მხარს არ ვუჭერ. გახარია აბსოლუტურად კანონის შესაბამისად მოქმედებდა.

***– მისი თანამშრომლებიც კანონის შესაბამისად მოქმედებდნენ?***

– თუ მისმა თანამშრომლებმა გადააჭარბეს უფლებამოსილებას, ამას პროკურატურა გამოიძიებს და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს. ამიტომაც მთლიანად პროცესი დაწყნარდა. პოლიტიკურმა სპექტრმა ყველაფერი კარგად მიიღო, გარდა ნაციონალებისა.

ნაციონალებს უნდათ ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება ძალადობრივი გზით არჩევნების ჩატარებამდე. ამას თვითონ სააკაშვილი არ მალავს, „რუსთავი-2-ს რომ ურეკავს, ეუბნება, აქამდე არ უნდა მივიდეს საქმე, მაგრამ ეს აღარ გამოუვათ. ხალხმა ყველაფერი კარგად დაინახა. ამიტომ ყველა მათი ქმედება მიმართულია მათ საწინააღმდეგოდ. რეიტინგი კი დაბლა-დაბლა მოდის.

ხალხმა დაინახა, 7 ივლისს რა გააკეთეს. 7 ივლისის ამბავში ყველაზე ნაკლები პრეტენზია მაქვს გაბუნიას მიმართ.

***– მათი მიზანი რა იყო? ისეთი შეფასებები, რომელიც მოვისმინეთ, შეიძლება აგრესიის საბაბი გახდეს? ქართველები ოკუპირებულ ტერიტორიაზეც ცხოვრობენ.***

– არა. რაკილა არ გამოუვიდათ პროვოკაცია, რაც ხელისუფლებას ნაცმოძრაობამ მოუწყო, მოსალოდნელია სხვა პროვოკაციებიც, რომ ხელისუფლება ჩამოშალონ და შემდეგ ძალადობრივი გზით ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ. თუ ძალადობრივი გზით არ ჩაიგდო ძალაუფლება ხელში, სხვანაირად მიშა ხელისუფლებაში ვეღარ მოვა.

სააკაშვილისა და ნაციონალების მიზანია, გააღიზიანონ რუსული საზოგადოებრივი აზრი, პრობლემები შეუქმნან რუსეთში მცხოვრებ ქართველებს, საქართველო რუსოფობიურ ქვეყნად წარმოაჩინონ. აქ საუბარია არ არის იმაზე, რუსეთი ოკუპანტია თუ არა. რა თქმა უნდა, რუსეთი ოკუპანტია და ჩვენ ამას ზრდილობიანად, ყველა რეზოლუციაში, ყველგან აღვნიშნავთ. რუსოფობია სხვა რამ არის.

***– როგორ ფიქრობთ, აქციები კიდევ გაგრძელდება?***

– ახლა აქციებს ძირითადად ნაცმოძრაობის აქტივი აგრძელებს. პრობლემა ამოწურულია, განსაკუთრებით გავრილოვის თემასთან დაკავშირებით. „ოცნებამ“ თავისი შეცდომა აღიარა, „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გადადგა ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობიდან. თანაც პოლიტიკურ პარტიებს ყველა პირობა შეუქმნა, რომ სიტუაცია დაწყნარდეს. მათ შესთავაზა პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით. ეს არის იდეალური ვარიანტი პარტიებისთვის. ჩემი აზრით, 10-15 პარტია შევა პარლამენტში.

***– ბატონო სიმონ, სხვათა შორის, რუსეთი ახლანდელ თავის განცხადებაში გავრილოვისა და რუსული დელეგაციის გაძევებაზეც გამოთქვამდა უკმაყოფილებას.***

– ახლა რუსები შეეცდებიან, მსოფლიო საზოგადოებას დაანახონ, რომ ჩვენ საიმედო ხალხი არ ვართ, რომ ჩვენ ვერ შევძელით ასამბლეის ჩატარება, რომ ჩვენ უშვერი სიტყვებით ადამიანს წინაპრების საფლავები გავულანძღეთ. ეს ხომ ქართველი კაცის ხასიათში აბსოლუტურად არ არის. ქართველი კაცისთვის საფლავი არის წმინდათაწმინდა. რაშიც ძლიერები ვართ – სტუმართმოყვარეობასა და საფლავების პატივისცემაში – ჩვენმა მოწინააღმდეგემ სწორედ იმ კუთხით დააშვებინა შეცდომები.

***– ისე, სადაც ამას გაიხსენებენ, იქ უნდა გაიხსენონ, როგორ დაწვეს და შემდეგ ბულდოზერებით გადაასწორეს, მაგალითად, ცხინვალის რეგიონში ცხინვალის ახლოს მდებარე სოფელი თამარაშენი, როგორ არ უშვებენ 25-30 წელია ქართველებს წინაპართა საფლავებზე, რომლებიც მიტოვებულია. ესეც აუცილებლად უნდა გაიხსენონ.***

– რაც ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში გაკეთდა, ძალიან ცუდია. ბოლო დროინდელი ამბებით სწორედ ისეთი ფაქტების გადაფარვა ხდება, რაზეც თქვენ მიუთითებთ. ჩვენ ამაზე ყველა ფორუმზე ვსაუბრობთ, მაგრამ ახლა ისეთი შეცდომები დაგვაშვებინეს... ჩაშალეს ასამბლეა. კარგია, რომ ასამბლეა ჩაიშალა.

***– იმ ასამბლეაში, საერთოდ, რა გვინდოდა? მით უმეტეს, თუ რუსეთი იყო თავმჯდომარე ქვეყანა.***

– მართლმადიდებელი ქვეყანაა, ხომ შეიძლება ეს ასამბლეა ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

***– რა მართლმადიდებელი ქვეყანაა რუსეთი, როცა ასევე მართლმადიდებელი ქვეყნის მოქალაქეებს ხოცავს.***

– მსოფლიოს გადასახედიდან მართლმადიდებელი ქვეყანაა. შეცდომაა იმის თქმა, რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანა არ არის. იმიტომ არის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომ იქ ბერძენი და რუსი გვერდიგვერდ დასხდნენ.

***– თუ ძალიან სიღრმისეულად გავაანალიზებთ, ის, რაც გაკეთდა ბოლო დროს, სწორედ რუსეთს აწყობდა.***

– ამ ყველაფერს თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ. ზოგიერთები ქართველების საწინააღმდეგოდ მუშაობენ. ვინ მუშაობს და როგორ, ყველაფერს ფარდა აეხდება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# კურტ ვოლკერი: „უკრაინამ ნორმანდიულ ფორმატში ინიციატივა უნდა აიღოს!“

## კიევში დონალდ ტუსკი ჩავიდა

დონბასში გაჭიანურებული ომი საერთაშორისო საზოგადოების ღრმა შეშფოთებას იწვევს. პუტინის იტალიაში ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპა ერთგვაროვანი არაა. იტალია მზადაა, პუტინს კოჭი გაუგოროს. ამას პრემიერ კონტეს განცხადებაც მოწმობს:

– დონბასის კონფლიქტი რუსეთის გარეშე ვერ გადაწყდება!

უკრაინელი ექსპერტის, ლიტვინენკოს აზრით, დიდი ღალატი ახლოვდება. რუსეთი, ევროპა და ნაწილობრივ აშშ (ტრამპთან დაახლოებული გუნდი) შესაძლოა დონბასში ომის დამთავრებაზე შეთანხმდნენ.

– შედეგად საომარი მოქმედებები მართლაც შეჩერდება, მაგრამ მშვიდობა უკრაინისთვის საზიანო პირობებში დამყარდება, – მიიჩნევს ლიტვინენკო.



აშშ-ს სპეცწარმომადგენელმა კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ აშშ უკრაინას კვლავაც მხარს უჭერს. ვოლკერმა უკრაინელებს ურჩია, რომ პარლამენტმა მიიღოს კანონი ამნისტიის, დეცენტრალიზაციის და სპეციალური სტატუსის შესახებ, რომლის ამოქმედება მხოლოდ მას შემდეგ იყოს შესაძლებელი, როცა სათანადო უსაფრთხოების პირობები შეიქმნება.

ამერიკელი დიპლომატის აზრით, უკვე დროა, რომ მოლაპარაკებებში, რომლებიც ნორმანდიულ ფორმატში მიმდინარეობს, უკრაინამ ინიციატივა აიღოს.

ვოლკერმა ხაზი გაუსვა, რომ აქამდე კიევი ერთგვარ მომლოდინე პოზიციას ინარჩუნებდა.

– უკრაინამ დონბასის კონფლიქტის მოგვარების მისეული სქემა უნდა წარმოადგინოს და მის განხორციელებას, მიაღწიოს, – ამბობს ვოლკერი.

დიპლომატმა ამ სქემის ძირითადი კონტურებიც მოხაზა – ცეცხლის შეწყვეტა, ყველა ტყვის გათავისუფლება, რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთის უკრაინის კონტროლქვეშ გადაცემა, განაღმვა, უცხო ქვეყნების ფორმირებების მიერ დონბასის დატოვება.

ამის შემდეგ შესაძლებელია დონბასის განსაკუთრებულ სტატუსზე მსჯელობა, დეცენტრალიზაცია, ამნისტია. უკრაინის პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, სადაც ეს ყველაფერი დაფიქსირებული იქნება.

ამასობაში უკრაინას ევროსაბჭოს თავმჯდომარე დონალდ ტუსკი ეწვია. ის და ვლადიმერ ზელენსკი დონბასში ერთად გაემგზავრნენ. სტუმარს სტანიცა ლუგანსკაია დაათვალიერებინეს, სადაც ცოტა ხნის წინ ჯარების დაშორიშორება დამთავრდა.

ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა მზადაა, სტანიცა ლუგანსკაიას ხიდი აღადგინოს, თუმცა ამას რიგი პირობის შესრულება უნდა მოჰყვეს.

– კერძოდ, სეპარატისტულმა ფორმირებებმა თავიანთი პოზიციები სიღრმეში უნდა გადაწიონ! – თქვა ზელენსკიმ.

დონალდ ტუსკმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ უკრაინა მინსკის შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს სრულად ასრულებს.

– სამწუხაროდ, რუსეთზე ამას ვერ ვიტყვით. შედეგად დონბასში მდგომარეობა გართულდა, – ამბობს ტუსკი.

# ვენესუელის მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები დაიწყო



ბარბადოსში ვენესუელის მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები დაიწყო.

მიზანი გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის მოგვარებაა. მოლაპარაკებებში შუამავლად ნორვეგიის მთავრობის წარმომადგენლები გამოდიან.

ვენესუელის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერ ხუან გუაიდოს 50-ზე მეტი ქვეყანა კანონიერ პრეზიდენტად ცნობს. მმართველი სოციალისტური პარტიის ლიდერი მადურო ასევე პრეზიდენტად აცხადებს თავს. მას მხარს უჭერენ მხოლოდ რუსეთი, ჩინეთი, კუბა, ნიკარაგუა და კიდევ რამდენიმე მსგავსი ქვეყანა.

– უკვე დროა, რომ კრიზისი ვენესუელაში მოგვარდეს! მოლაპარაკებებიც ამ მიზანს ისახავს, – განუცხადა ჟურნალისტებს გუაიდომ.

# სირია: მშვიდობიანი მოსახლეობა რუსული ბომბების ქვეშ იღუპება



სირიის იდლიბის პროვინციაში რუსებისა და ასადის არმიის ერთობლივი ოპერაცია გრძელდება. სირიელმა პარტიზანებმა ასადს დიდი ზიანი მიაყენეს. პასუხად რუსეთის ავიაციამ მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა დაიწყო.

რუსები სპეციალურად არტყამენ საავადმყოფოებს, სახლებს, საბავშვო ბაღებს.

– რუსული ბომბების ქვეშ უკვე 500 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, – ამტკიცებენ სირიელი უფლებადამცველები.

ასადის ხელისუფლება და რუსები ამას უარყოფენ. ისინი აცხადებენ, რომ ოპერაციას ალ-ქაიდას ფორმირებების წინააღმდეგ აწარმოებენ, მშვიდობიან მოსახლეობა კი არ ზარალდება.

# საბერძნეთის ვადამდელ არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა




საბერძნეთში გამართულ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციურმა პარტიამ „ახალი დემოკრატია“ გაიმარჯვა.

მისმა მთავარმა კონკურენტმა, პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასის პარტია „სირიზამ“ დამარცხება უკვე აღიარა.

წინასწარი შედეგების მიხედვით, პარტია „ახალმა დემოკრატიამ“ ამომრჩეველთა 39,8 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა, ციპრასის მემარცხენე პარტიამ კი 31.6 პროცენტი მიიღო.

გამარჯვებული პარტიის ლიდერმა კირიაკოს მიცოტაკისმა განაცხადა, რომ იგი იქნება ყველა ბერძენის პრეზიდენტი, ვინაიდან „ბერძნები ძალიან ცოტანი არიან იმისთვის, რომ დაყოფილები იყვნენ“.

„ახალი დემოკრატია“ პარლამენტში 158 ადგილს დაიკავებს, „სირიზა“ – 86-ს, კომუნისტები 15-ს, 2 ნაციონალისტური და პრორუსული პარტია კი 10-ს და 9-ს.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ალექსის ციპრასმა მას შემდეგ დანიშნა, რაც მისმა პარტიამ გასულ თვეს ევროპულ და ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებში მარცხი განიცადა.

# ირანში 5,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა



ირანის დასავლეთში, პროვინცია ხუზესტანში 5,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, რის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა და 20 დაშავდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ ახვაზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 101 კილომეტრზე დაფიქსირდა.

ამის შემდეგ ნახევარ საათში კიდევ ერთი, 4,6 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● ვაქირავებ წინამძღვრიშვილზე 2-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, გარემონტებულს, ყველა საჭირო ნივთით. ბინას შესასვლელი აქვს სადარბაზოდან. ქუჩაში მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითა და აივნით. ფასი 700 ლარი. მაკლერები არ გამომეხმაუროთ. ტელ: 597-46-40-60.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დე იონგმა კრუიფის ნომერზე უარი თქვა



მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე ბარსელონამ ახალგაზრდა ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ფრენკი დე იონგი დაიმატა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარმცველი 22 წლისაა, უკვე მთელი საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია.

ჰოლანდიელი ნახევარმცველისთვის ტოპ-კლუბები იბრძოდნენ, დე იონგმა კი არჩევანი ბარსელონაზე შეაჩერა. მან უარი თქვა პარი სენ-ჟერმენისა და მანჩესტერ სიტის გაცილებით სარფიან შეთავაზებებზე და აცხადებს, რომ კატალონიურ გრანდში ისეთი გზის გავლა სურს, როგორიც თავის დროზე ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდამ, იოჰან კრუიფმა გაიარა.

ახალგაზრდა ნახევარმცველი საკმაოდ ამბიციურია, მაგრამ არა იმდენად, რომ კრუიფის ნომერიც აიღოს. დე იონგი ბარსელონაში 21-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. არადა, ბარსელონაში მას კრუიფის მე-14 ნომერიც შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა.

**დე იონგი:**

– ბარსელონასა და ჰოლანდიას ყოველთვის დიდი, განსაკუთრებული კავშირი ჰქონდათ. იმედი მაქვს, რომ ამ ტრადიციას მეც ღირსეულად გავაგრძელებ. მინდა, გავხდე ერთ-ერთი უდიდესი ჰოლანდიელი ფეხბურთელი მათ შორის, ვისაც ბარსელონაში უთამაშია! კრუიფის ნომერზე სპეციალურად ვთქვი უარი. ცხადია, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა, მაგრამ ზედმეტი წნეხი არ მინდა. ბარსელონაში, ჩემს პრეზენტაციაზე მთელი ჩემი ოჯახი წავიყვანე. მხოლოდ ბაბუა, ჰანს დე იონგი არ იყო, რომელიც ჩემს დაბადების დღეზე გარდაიცვალა. იმ დღეს 21 წლის გავხდი. ამიტომაც ვირჩევ 21-ე ნომერს.

# ბრაზილიამ კოპა ამერიკა მეცხრედ მოიგო



**ბრაზილია-პერუ 3:1**

**რიო-დე-ჟანეირო. მარაკანა**

1:0 ევერტონი (15), 1:1 გერერო (44პ), 2:1 ჟეზუსი (45), 3:1 რიშარილსონი (90პ)

**ბრაზილია:** ალისონი, დანი ალვეში, მარკინიოსი, ტიაგო სილვა, ალეკს სანდრო, არტური, კაზემირო, ევერტონი (ალანი 90), კოუტინიო (მილიტაო 77), გაბრიელ ჟეზუსი, ფირმინო (რიშარილსონი 75)

**პერუ:** გალესე, ადვინკულა, სამბრანო, აბრამი, ტრაუკო, ტაპია (გონსალესი 82), იოტუნი (რუიდიასი 78), კარილიო (პოლო 86), კუევა, ფლორესი, გერერო

**გაძევება:** გაბრიელ ჟეზუსი (70)

კოპა ამერიკის ფინალში სენსაცია არ შედგა. ბრაზილიის ნაკრებმა დამაჯერებლად დაამარცხა პერუს ეროვნული გუნდი. ანგარიში თანაბარი მცირე დროით იყო – მასპინძლებმა მე-15 წუთზე გახსნეს ანგარიში – გოლი ევერტონმა გაიტანა. მართალია, ტაიმის ბოლოს პერუმ გერეროს პენალტით ისევ გაათანაბრა, მაგრამ 3 წუთით – ჟესუსმა ისევ წინ გაიყვანა მასპინძლები.

მე-2 ტაიმში ბრაზილია აგრძელებდა თამაშის კონტროლს, მომენტებიც ჰქონდა, მაგრამ ისევ მოახერხა პრობლემების შექმნა, როდესაც მოედნიდან ჟესუსი გააძევეს. თუმცა, მეტობაში მყოფმა პერუელებმა მაინც ვერ მოახერხეს ალისონის კართან რაიმე ხიფათის შექმნა. ბოლოს შტურმიც არ გამოუვიდათ. მეტიც, ბრაზილიამ პენალტის დარტყმის უფლება მიიღო და რიშარილსონმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:1.

ბრაზილიაში მეხუთედ ჩატარდა კოპა ამერიკა და ყოველთვის გამარჯვებული მასპინძელი გუნდი გამოდიოდა. სულ კი სელესაომ ეს ტურნირი მეცხრედ მოიგო და მხოლოდ ურუგვაისა (15) და არგენტინას (14) ჩამორჩება.

მასპინძელთა მეკარე ალისონმა კარი მშრალად 889 წუთის მანძილზე შეინახა, ერთადერთი გოლი ფინალში გაუშვა და ტურნირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

საუკეთესო ფეხბურთელად დანი ალვეში (ბრაზილია) აღიარეს, ხოლო ბომბარდირები ევერტონი (ბრაზილია) და გერერო (პერუ) გახდნენ.

## შედეგები

**7 ივლისი**

**ფეხბურთი**

**კოპა ამერიკა**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-პერუ | 3:1 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| მექსიკა-აშშ | 1:0 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| მადაგასკარი-დრ.კონგო | 2:2 (4:2პ) |
| ალჟირი-გვინეა | 3:0 |

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები. ფინალი**

| | |
|---|---|
| ინგლისი-ჰოლანდია | 2:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ნორჩიოპინგი-ჰაკენი | 2:1 |
| ჰამარბი-ფალკენბერგი | 6:2 |

**ფინეთი-ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ილვესი-სეინეიოკი | 3:0 |

# ზაზა ლეჟავა: „მეხუთე ადგილი მისაღები შედეგია“



როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული 7-კაცა ნაკრები 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება და მარტყოფის რაგბის ბაზაზე ერთკვირიანი შეკრება დაასრულა.

ჩვენმა გუნდმა ევროპის გრან პრის პირველ, მოსკოვის ეტაპზე მე-10 ადგილი დაიკავა. რადგან ოლიმპიურ თამაშებში ინგლისი და უელსი ერთიანი გუნდით, დიდი ბრიტანეთის სახელით გამოდის, საქართველო 9 ნაკრებს შორის მოხვდა და ტოკიოს ზაფხულის თამაშების საგზურისთვის 13-14 ივლისს საფრანგეთში, კოლომიეში იბრძოლებს.

თუ როგორ ემზადება ჩვენი გუნდი ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის, ამის შესახებ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა ლეჟავა საუბრობს:

– ძალიან არ გაგვიმართლა. მოსკოვში ფაქტობრივად „სიკვდილის ჯგუფში“ მოგვიწია თამაში, თუმცა მოწინავე 8 გუნდს შორის მოხვედრის შანსი მაინც გვქონდა. პირველ მატჩში რუსეთის ნაკრებს შევხვდით და ჩვენი შეცდომების გამო ერთი გარდასახვით დავმარცხდით. ორჯერ ვერ გავიტანეთ 100%-იანი ლელო და ამან ფსიქოლოგიურად დიდი დარტყმა მოგვაყენა, რაც ინგლისთან მატჩში გამოჩნდა. კარგი თამაში გვქონდა ესპანეთთანაც, თუმცა აქაც ბავშვური შეცდომები დავუშვით, პირველი ლელო მე-18 წამზე მივიღეთ, საბოლოოდ კი მხოლოდ ერთი გარდასახული ლელოთი ჩამოვრჩით. დიდი დარტყმა იყო კაპიტნის არყოფნა. რამაზ ხარაზიშვილი მოსამზადებელ პერიოდში დაშავდა, მის გარეშე პირველად ვითამაშეთ, ის კი მოედანზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. გარდა ამისა, პირველივე დღეს 3 მორაგბე დავკარგეთ – ბაბუნაშვილმა ტვინის შერყევა მიიღო, სვანიძეს ნეკნი ჰქონდა დაბეჟილი, ხოლო პერანიძემ ფეხის კუნთი დაიზიანა. მიუხედავად ამისა, მეორე დღის პირველ მატჩში რუმინეთი უმძიმეს თამაშში დავამარცხეთ და ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე გავედით.

***– თქვენთან ერთად გუნდს ავარჯიშებს სამხრეთ აფრიკელი ფიზმომზადების მწვრთნელი გრაჰამ ბენზი, რომელსაც ადრე გერმანიისა და კენიის 7-კაცა ნაკრებებში უმუშავია.***

– ძალიან კარგი პიროვნებაა. ის წარმოშობით ბურია და მენტალურად ჩვენთან ძალიან ახლოსაა. მისი მამა ცნობილი სპორტული ექიმი იყო და კეიპტაუნში პირველი სპორტული კლინიკა სწორედ მისი გახსნილია. თავად გრაჰამი სპორტის პროფესორია, აღზევების ხანაში ნამუშევარი აქვს გერმანიისა და კენიის 7-კაცა ნაკრებებთან, თუმცა ოჯახური პრობლემების გამო სამშობლოში მოუწია დაბრუნება. ახლა ყველაფერი უკეთაა, 2 თავისუფალი კვირა ჰქონდა და საქართველოში ჩამოვიდა. მისი ფიზმომზადება სარაგბო უნარებითაა დატვირთული, რაც ძალიან კარგია. ბენზისთან ურთიერთობა მარტივია, უზარმაზარი ენერგია აქვს და შეკრებაზე სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს. ბიჭები მისით კმაყოფილები არიან.

***– მწვრთნელები დაცვის თამაშით იყავით უკმაყოფილო, ამ ეტაპზე ვარჯიშები ძირითადად სწორედ ამ კომპონენტის გაუმჯობესებას ეთმობა, გაუმჯობესდა?***

– შეკრებაზე 19 მორაგბე გვყავს და კონკურენცია საკმაოდ მაღალია. ბენზიმ იცის, რა თემაზე უნდა ავარჯიშოს ბიჭები. გვქონდა კონტაქტური ვარჯიშებიც, რაც ტრავმის ალბათობას ზრდის, მაგრამ სხვანაირად ვერ გავიზრდებით. მოსკოვის ტურნირმა დაგვანახა, თუ რა სისწრაფეებზე მოგვიწევს თამაში და მზადებაც შესაბამისია.

***– საფრანგეთში საქართველოს 7-კაცა ნაკრებს გუნდის კაპიტანი, რამაზ ხარაზიშვილი დაუბრუნდება, რომელმაც ტრავმა მოიშუშა, სამაგიეროდ დაგვაკლდება პერანიძე, რომელიც მოსკოვში დაშავდა და შეკრებაზეც არაა.***

– რამაზი 90%-ით მზადაა. მას ისე ძლიერ სურდა თამაში, ურთულესი ტრავმა უმოკლეს დროში მოიშუშა. ტრავმის გამო დაგვაკლდება პერანიძე, ასევე ილია სპანდერაშვილი. ის უკვე მეორედ გამოვიძახეთ და კლუბმა ამჯერადაც გვიპასუხა, რომ ტრავმირებულია. პირველ ჯერზე, ამ პასუხიდან 4 დღეში, სპანდერაშვილმა კლუბში ითამაშა და თუ ახლაც ასე მოხდა, ეს პენზის კლუბთან ურთიერთობას გაართულებს.

***– ოლიმპიადის შესარჩევ ეტაპზე საქართველო ჯგუფში ინგლისის, გერმანიისა და ლიტვის ნაკრებებთან ითამაშებს. რა მიზანია დასახული?***

– ნორმალური ჯგუფი შეგვხვდა. ინგლისი ფავორიტია, ძლიერი ნაკრები ყავს გერმანიასაც, რომელმაც ბოლო 4 წელიწადში 7-კაცა რაგბს დიდი რესურსი დაუთმო, თუმცა ჩვენ მათთან თამაში უფრო გვიადვილდება და შარშან დავამარცხეთ კიდეც. ვიმედოვნებ, რომ პირველ დღეს გერმანიას და ლიტვას მოვუგებთ და მეორე დღეს, მეოთხედფინალში შედარებით სუსტი მეტოქე შეგვხვდება. ამოცანა რთულია, მაგრამ მიყვარს სირთულეების გადალახვა. მიზანი რეპეშაჟში გასვლაა, მაგრამ საფრანგეთში მე-5 ადგილსაც თუ დავიკავებთ, კმაყოფილი ვიქნები.

საქართველოს ნაკრები დღეს გაემგზავრება საფრანგეთში, ლეჟავას განკარგულებაში ამჟამად იმყოფებიან:

გიორგი ჭუაძე (აკადემია), ნიკოლოზ გიგაური (არმაზი), ნიკო აფციაური (ლოკომოტივ-პენზა), სანდრო მამამთავრიშვილი (ლელო-სარასენსი), დაჩი კოპაძე, იოანე ხელაია, ბექა წიკლაური (ყველა ლოკომოტივი), ნიკა სუხაშვილი (მეტალურგი, ნოვოკუზნეცკი), ლაშა ლომიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, იაგო ხაბულიანი (ყველა აია), ირაკლი სვანიძე (ჯიქი), ლადო მიმინოშვილი, ანზორ სიჭინავა (ორივე ბათუმი), დავით თაბუკაშვილი (ხარები), რამაზ ხარაზიშვილი, რევაზ ხარაზიშვილი, ბონდო ლომიძე (ყველა იუნკერები).

# ბაიერნში არეულობაა

გერმანული მედიის ინფორმაციით, მიუნხენის ბაიერნში დიდი არეულობაა. ბავარიელი ვარსკვლავები უკმაყოფილოებას გამოხატავენ კლუბის ხელმძღვანელობის სატრანსფერო პოლიტიკის გამო. საქმე ის არის, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე 6 კვირით ადრე, ბავარიულ გრანდს მხოლოდ 3 ტრანსფერი აქვს განხორციელებული და ჯერ არც ერთი ტოპ-ვარსკვლავი არ შეუძენია.

ცნობილია კაპიტან მანუელ ნოიერის კრიტიკული მოსაზრება. თავად მეკარეს პირადად არაფერი უთქვამს, მაგრამ თავისი აგენტი, თომას კროთი ალაპარაკა:

– ნოიერს სურს გამარჯვება მოიპოვოს როგორც ევრო-2020 წლის ჩემპიონატზე, ისე უეფას ჩემპიონთა ლიგაზე. იგი ორიენტირებულია წარმატებებზე. მაქვს განცდა, რომ სხვაობა ინგლისის პრემიერ ლიგის ტოპ-4 გუნდსა და ბაიერნს შორის საგრძნობლად გაიზარდა. მოცემულ მომენტში ბავარიელთა შემადგენლობა არ არის ისეთი კონკურენტუნარიანი, რომ ნოიერის ამბიციები დააკმაყოფილოს.

შეგახსენებთ, რომ ბაიერნმა ახალი სეზონისთვის ჯერ მხოლოდ 3 ფეხბურთელი დაიმატა: ლუკა ერნანდესი (ატლეტიკოდან), ბენჟამენ პავარი (შტუტგარტიდან) და ფიტე არპი (ჰამბურგიდან).



სამაგიეროდ, რეკორდმაისტერი ისეთმა ვარსკვლავებმა დატოვეს, როგორებიც მატს ჰუმელსი, ხამეს როდრიგესი, ფრანკ რიბერი, რაფინია და არიენ რობენი არიან. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბაიერნში არც ჟერომ ბოატენგი და რენატო სანჩესი დარჩებიან.

თავის მხრივ, მიუნხენელები ვერც ერთი სასურველი მოთამაშის გადაბირებას ვერ ახერხებენ. კალუმ ჰადსონ-ოდოის ტრანსფერი ჩაშლილია, ლეროი სანესთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, უსმან დემბელეს კი ბაიერნში გადასვლა არ სურს. არადა, რამდენიმე თვის წინ, რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა ული ჰიონესმა განაცხადა, რომ ზაფხულში ისტორიულად ბევრ ფულს დახარჯავდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ბავარიელები მზად არიან, ტოპ-ვარსკვლავებში 200 მილიონი ევრო დახარჯონ, მაგრამ ჯერჯერობით სასურველ ფეხბურთელებს ვერ ითანხმებენ.

რობერტ ლევანდოვსკიმ კონტრაქტი 2023 წლამდე კი გააგრძელა, მაგრამ საკადრო პოლიტიკა არც მას მოსწონს:

– გვჭირდება ხარისხიანი ახალწვეულები, რომლებიც ბაიერნს ახლავე ერთი საფეხურით გააძლიერებენ. ეს ისეთი გუნდია, სადაც ბევრი დრო არ გაქვს. ფანები ყოველ სეზონში ყველა ტიტულის მოგება ითხოვენ.

წნეხის ქვეშაა მთავარი მწვრთნელი ნიკო კოვაჩიც. 47 წლის სპეციალისტიც ამბობს, რომ გუნდს მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად გაძლიერება სჭირდება, მაგრამ მისი შეგირდებიც კი ფიქრობენ, რომ კოვაჩი არის მწვრთნელი, რომელთან მუშაობას ბევრი ტოპ-ვარსკვლავი არ მოისურვებს.

გერმანული მედიის ცნობით, თუ ბაიერნი უახლოეს კვირებში 2-3 ტოპ-ფეხბურთელს არ შეიძენს, უკმაყოფილების ფონზე, სეზონის დასაწყისში სერიოზული პრობლემებია მოსალოდნელი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## საბურთალო განცხადებას ავრცელებს



პრემიერლიგაში, კლუბებს ფინანსური კრიზისი რომ დაეძლიათ, ხელმძღვანელობამ სატელევიზიო გაყიდვები გააძვირა. საერთოდაც, საფეხბურთო რუკაზე მიღებულია, რომ კლუბების უმთავრესი შემოსავალი, ტელევიზია და სპონსორებია. რატომღაც, საქართველოში ყველაფერი პირიქით არის. მეტიც, ხშირად უსასყიდლოდ აკეთებენ ტრანსლაციებს, ხანდახან კი, კლუბები თავად იხდიან ფულს, რომ მათი თამაში ტელევიზიით იქნას ნაჩვენები.

ხვალ, საქართველოს ჩემპიონი თბილისის საბურთალო ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველ შეხვედრას, ტირასპოლის შერიფის წინააღმდეგ სტუმრად გამართავს, განცხადებას ავრცელებს.

– ძვირფასო გულშემატკივრებო, მოგახსენებთ, რომ 10 ივლისს საფეხბურთო კლუბი საბურთალო მოლდოვის ქალაქ ტირასპოლში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს გამართავს შერიფის წინააღმდეგ. იქიდან გამომდინარე, რომ დიდია მატჩისადმი ინტერესი, ჩავთვალეთ საჭიროდ გაგვეკეთებინა განმარტება.

ზოგადად, კლუბებისთვის საერთაშორისო მატჩების ტრანსილირება არის შემოსავლების ერთ-ერთი წყარო, თუმცა გავითვალისწინეთ გულშემატკივრების ინტერესი და პირდაპირი რეპორტაჟის ექსკლუზიური უფლება „საზოგადოებრივ მაუწყებელს" უსასყიდლოდ გადავეცით, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკება მოლდოვურ მხარესთან და გასვლითი მატჩიც პირდაპირ ეთერში ეჩვენებინა. საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს. იმედს ვიტოვებთ, „საზოგადოებრივი მაუწყებელი" შეძლებს მოლდოველ კოლეგებთან მოლაპარაკებასა და მაყურებელს მიეცემა მატჩის პირდაპირ ეთერში ყურების საშუალება.

ჩვენთვის ცნობილია, რომ „საზოგადოებრივმა მაყურებელმა მოლდავურ მხარეს გაცვლა შესთავაზა, მაგრამ იქაური მხარე ფულს ითხოვს. „საზოგადოებრივი მაუწყებელი" კი, ამ წინადადებაზე ჯერჯერობით არ თანხმდება. არადა, გულშემატკივართა ინტერესი დიდია.

## ქალს მთელი ცხოვრება დაავიწყდა და XIX საუკუნეში „დაბრუნდა"

ინგლისის კამბრიას საგრაფოს ქალაქ კარლაილში ქალი ენცეფალიტით დაავადდა და მეხსიერება დაკარგა.

2016 წლის მარტში 29 წლის ვიკი ჰარკნესმა საკუთარ თავს გრიპის დაავადების ნიშნები შენიშნა. რაღაც დროის შემდეგ მას მეხსიერების ჩავარდნები და ჰალუცინაციები დაეწყო. ვერ იხსენებდა, სად მიდიოდა. ერთხელ კი თავის დაქალ შონეს განუცხადა, რომ მთვარეზე იყო. მოგვიანებით ჰარკნესს კრუნჩხვები დაეწყო, ის საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმებმა ყველა საჭირო ანალიზები აუღეს და მას სახიფათო დაავადება ენცეფალიტი გამოუვლინეს.

ჰარკენსი ხელოვნურ კომურ მდგომარეობაში შეიყვანეს. მას შემდეგ, რაც ის გონს მოვიდა, ველარაფერს იხსენებდა.



– საკუთარ სხეულს ველარ ვაკონტროლებდი, ამიტომ კათეტერის გამოყენება დამჭირდა. უცნაურ რაღაცებს ვლაპარაკობდი. ექიმებმა მკითხეს, თუ რომელი წელი იყო და მე ვუპასუხე, რომ 1860 წელია, – ყვება ბრიტანელი.

სპეციალისტებმა ჰარკენსის ახლობლები გააფრთხილეს, რომ ახლა უკვე სულ სხვა ადამიანი იყო. მეგობრები შეეცადნენ მისთვის წარსული გაეხსენებინათ, უჩვენებდნენ მისი ქორწილის სურათებს. თუმცა ამან შედეგი არ გამოიღო, ხოლო საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მან გადაწყვიტა, ეკეთებინა ის, რასაც წარსულ ცხოვრებაში აკეთებდა. დღიურის წერა დაიწყო.

– ხელმეორედ მომიწია ყველაფრის თავიდან დაწყება, ფეხსაცმელზე თასმების შეკვრა და კბილების გამოხეხვა. შიმშილს ვერ ვგრძნობდი და ვჭამდი მხოლოდ მაშინ, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ უნდა მეჭამა. ეს ყველაფერი საშინელება იყო, – აცხადებს ბრიტანელი.

ჰარკენს მეხსიერება თანდათან უბრუნდება. ამჟამად ის ვარჯიშობს და სამსახურშიც დაბრუნდა.

## მეზობლებმა მამლის პატრონს უჩივლეს

საფრანგეთის სანაპირო სარანტას დეპარტამენტში მეზობლებმა მამლის პატრონს იმის გამო უჩივლეს, რომ მისი შინაური ფრინველი მათ ძილის საშუალებას არ აძლევდა.

ბირონის ოჯახმა კორინ ფესოს, ასევე მის მამალს სახელად მორისს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდება წაუყენა. ისინი თვლიან, რომ ფრინველის ყივილი დილით ადრე მეტისმეტად ადრე აღვიძებს მეზობლებს და მათ სიმშვიდეს ურღვევს. წყვილი კომპენსაციის სახით ათასი ევროს მიღებას გეგმავს, რომლის დახარჯვასაც ისინი ქველმოქმედებაში აპირებენ.

ამ შემთხვევამ საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია და ფესოს და მისი მამლის მორისის მხარდასაჭერად მივიდა. ისინი მიიჩნევენ, რომ სოფელში ეს ჩვეულებრივი სიტუაციაა და მასში არაფერია კანონსაწინააღმდეგო. ბირონების წყვილის ადვოკატმა აღნიშნა, რომ წყვილს ამ საქმის ასეთი გახმაურება არ მოეწონა.

საქმის სასამართლო განხილვაზე არ გამოცხადდნენ არც ბრალდების და არც ბრალდებულის მხარე. სასამართლო დარ-



ბაზში წამოიჭრა კითხვა, კომუნა სოფლის თუ ქალაქის ტიპის დასახლებაა, სადაც მსგავსი რამ დაუშვებელია. სავარაუდოდ, სასამართლო ამ საქმეზე გადაწყვეტილებას სექტემბრის დასაწყისში გამოიტანს.

## ექიმები უსასყიდლოდ დაეხმარნენ მამაკაცს, რომელიც შვილის გამო თირკმლის გაყიდვას აპირებდა




ინდონეზიაში მამაკაცმა გადაწყვიტა საკუთარი თირკმელი გაეყიდა, რათა შვილის ოპერაციის ფული გადაეხადა, მაგრამ ექიმებმა თანხმობა განაცხადეს, რომ მისი შვილისთვის უფასოდ ემკურნალათ.

ინდონეზიელი ქუჩაში კისერზე ჩამოკიდებული პლაკატით გამოვიდა, რომელზეც ეწერა, რომ ყიდიდა თირკმელს. მას სურდა ფული შეეგროვებინა შვილის ოპერაციისთვის, რომელსაც თავის ტვინის სიმსივნე აქვს. ელი კრისტიანო პორტ ტანჯუნგ-ბალაი-კარიმუნის მთავარ შესასვლელთან იდგა. მისი 23 წლის შვილი ელანდრა ვიგუნა იძულებული გახდა უფულობის გამო ადგილობრივ საავადმყოფოში მკურნალობა შეეწყვიტა.

როდესაც ეს ისტორია საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, საავადმყოფოს წარმომადგენლები დათანხმდნენ, მისთვის მკურნალობა უსასყიდლოდ გაეგრძელებინათ. ახალგაზრდა მამაკაცს ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა სტაბილური რჩება. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ვიგუნას ოჯახს შეღავათიანი მკურნალობის გაფორმებაში დაეხმარება, რაც მას საშუალებას მისცემს, მომავალში მკურნალობის ხარჯები მაქსიმალურად შეღავათიან ფასად გადაიხადოს.




## მესი შესაძლოა დისკვალიფიკაციით დასაჯონ

სამხრეთ ამერიკული მედია ინტენსიურად წერს, რომ არგენტინის ნაკრების კაპიტანი ლეო მესი კონმებოლის კრიტიკისათვის შეიძლება ხანგრძლივვადიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. შეგახსენებთ, რომ მესიმ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციას კორუფციული ორგანიზაცია უწოდა. არგენტინელი სუპერვარსკვლავი ხმაურიანი განცხადებების გაკეთებას არ მოერიდა და სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის მმართველი ორგანო მკაცრად გააკრიტიკა. ფეხბურთელის თქმით, კონმებოლში ბრაზილიას ძლიერი ლობი ჰყავს და ტურნირის მოსაგებად ყოველმხრივ უწყობენ ხელს.

ამ განცხადებების გამო, კონმებოლი მესის დასჯაზე ფიქრობს და უახლოეს დღეებში გადაწყვეტენ, თუ რა სანქციები დაეკისრება არგენტინელთა ათიანს. მედია წერს, რომ შესაძლოა მესის 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ

თუ ეს ასე მოხდა, მესი ალბისელესტეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ვერ დაეხმარება და ვერც 2020 წელს კოპა ამერიკაზე ვერ მიიღებს მონაწილეობას, რომელიც არგენტინაში ჩატარდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## მამაკაცმა ვიდეოზე უცნაური ფრთებიანი და საცეცებიანი არსება გადაიღო

ინდონეზიის მკვიდრმა ვიდეოზე გადაიღო უცნაური არსება, რომელიც მისი სახლის ჭერზე დახოხავდა. მამაკაცის ჰარი ტოას მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ მიხოხავს ზევით უცნაური საშუალო ზომის არსება, რომელსაც ორი ფრთა და ოთხი სხვადასხვა სიგრძის საცეცი აქვს. ვიდეოს ავტორი უკიდურესად გაოგნებული იყო არსების გარეგნობით და მას „უცხოპლანეტელი" უწოდა. მისი ვარაუდით, ის ღამის გასათევად უსაფრთხო ადგილს ეძებდა, ვინაიდან იმ ღამით წვიმდა. ტოამ ცხოველის სახეობა ვერ დაადგინა, თუმცა ვარაუდი გამოთქვა, რომ ის შესაძლოა ღამის პეპელა იყოს და ის პეპელას და ობობას ჰიბრიდს ჰგავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 9 ივლისისთვის



**ვერძი** – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 2. საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი; 3. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 5. ქალაქი შიდა ქართლში; 6. მოკლეხორთუმიანი აფრიკული ცხოველი; 8. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 11. ოლქი ირანში; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 15. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 19. ხვიარა, მცოცავი მარადმწვანე მცენარე.

**თარაზულად:** 1. გერმანიის პარლამენტი; 4. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 7. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 9. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 10. იაპონური აბანო; 12. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი შლაპა; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 17. პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. მზის სისტემის პლანეტა; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. კალაპოტი; 7. კრილოვი; 8. კრემი; 9. აბაკა; 10. რომბი; 13. ანოდი; 15. ტროლეიბუსი; 18. მინკუსი; 20. რეპი; 21. ჩიკორი; 23. მინგეჩაური; 24. ლემური.

**შვეულად**: 1. მანდარინი; 2. ქონდარი; 3. მინორი; 4. ცინკი; 5. ხვამლი; 11. ბარელი; 12. კაბუკი; 14. დოლი; 16. რექტორი; 17. პრომილე; 19. სეზარია; 21. ჩადრი; 22. მაჩვი.

### სკანვორდის პასუხები:

1. ალაზანი; 2. იდო; 3. ზალა; 4. რაე; 5. ანანკე; 6. არისა; 7. სერ; 8. სკატები; 9. პიტნა; 10. დუ; 11. ჟაკერია; 12. ძე; 13. ელვის; 14. ვერნისაჟი; 15. ინა; 16. ნიკ; 17. რაგვი; 18. არგენტინა; 19. გვარდია; 20. კალია; 21. ანაგრამა; 22. გლინკა; 23. ბატი; 24. გოდერძი; 25. რამპა; 26. ტაბუ; 27. არ; 28. ფარვანა; 29. ფინტი; 30. მარათონი; 31. ისიდა; 32. სარი; 33. პელიკანი. **სურათებზე:** რებეკა ედლინგტონი; მაიკლ დაუსონი.

## ჯაბა ბოჯგუას მარჩენალი ბებია ავარიამ იმსხვერპლა



მომღერალ ჯაბა ბოჯგუას ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. მისი 83 წლის ფენია ბებია, რომელიც მოწყალებას ითხოვდა და შვილს და შვილიშვილს ასე ეხმარებოდა, გარდაიცვალა. ჯაბას მარჩენალი და ერთადერთი ბებია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა. ის კლინიკაში გადაიყვანეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმე იყო, აღენიშნებოდა მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა და ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა. მომღერლის ბებიას ქირურგიული ჩარევა ესაჭიროებოდა. სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჯაბა ბოჯგუას ოჯახს ძალიან უჭირს. ისინი ნაქირავებში ცხოვრობენ, მომღერალი უკვე წლებია კომაშია, ჯაბას დედა მანანა გვასალია ვერ მუშაობს, რადგან შვილის დატოვება არ შეუძლია, მას მოხუცებული დედა ეხმარებოდა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. თუ გაქვთ სურვილი, ამ მძიმე წუთებში მცირედით დაეხმაროთ ჯაბა ბოჯგუას დედას, თიბისი ბანკში ქალბატონი მანანა გვასალიას სახელზე ანგარიშია გახსნილი.

## ჯგუფი „ლასკავი მაი“ საქართველოში კონცერტებს არასდროს გამართავს



რუსული ჯგუფი „ლასკავი მაი“ საქართველოში კონცერტებს აღარასდროს გამართავს. ამის შესახებ ინფორმაცია ჯგუფის მუსიკალურმა პროდიუსერმა ანდრეი რაზინმა სოციალურ ქსელში გაავრცელა. ჯგუფი, რომლის სოლისტიც იური შატუნოვია და მათი სავიზიტო ბარათია სიმღერა „ბელიე როზი“, საქართველოში არასდროს ჩამოვა. პროტესტის მიზეზი გიორგი გაბუნიას მიერ გადაცემა პოსტ კრიპტუმში გაკეთებული განცხადება გახდა. როგორც რუსული გამოცემა „ტელეპროგრამა“ წერს, ანდრეი რაზინისთვის მიუღებელი და აღმაშფოთებელია ის შეურაცხმყოფელი მიმართვა, რომელიც გიორგი გაბუნიამ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მისამართით გააკეთა.

# გიორგი გოგიჩაიშვილი უკანასკნელ გზაზე გააცილეს



ტელეწამყვანი და მსახიობი გიორგი გოგიჩაიშვილი უკანასკნელ გზაზე მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, რიგითმა მაყურებლებმა და მისი შემოქმედების გულშემატკივრებმა გააცილეს.

გოგიჩა სიმსივნესთან ბრძოლაში დამარცხდა და 51 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**გოგა გეგელია,** *რეჟისორი:*

– გოგიჩა უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ. ძნელია მასწავლებლისთვის უსაყვარლეს და უნიჭიერეს სტუდენტთან დამშვიდობება, უსაშველოდ ძნელი. რამხელა სიყვარული დატოვე ამ ქვეყანაზე და რამდენი ცრემლი გაიყოლე თან ჩემო უსაყვარლესო ადამიანო. სუფრასთან ჩვენი თეატრის სხვადასხვა თაობის მსახიობები შეიკრიბნენ, გიხსენებდით სიყვარულით, ცრემლით და ღიმილით. შენი გახსენება სხვანაირად შეუძლებელია. მშვიდობით. მადლობა, რომ იყავი ამ ქვეყანაზე!

**დავით არჩვაძე,** *მომღერალი:*

– ის ფლობდა ყველაზე დიდ სიმდიდრეს ამ ქვეყანაზე, ადამიანების და, კერძოდ, მთელი საქართველოს ბავშვების უდიდეს სიყვარულს და მართლაც რომ უდიდესი სითბო და სიტკბოება დანერგა და დატოვა ამ ქვეყნად თავისი არსებობით. მშვიდობით, ჩვენო კეთილო ძმაო.

**გოჩა თანდარაშვილი,** *იუმორისტი:*

– ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ტკბილი და საყვარელი ადამიანი დაკარგა ქვეყანამ... როგორც შენ იცოდი: „გენაცვალე შენ, ჩემო მეგობარო“.

**ნინო სურგულაძე,** *ოპერის მომღერალი:*

– დავაფასოთ და გვიყვარდეს ადამიანები მანამ, სანამ აქ არიან, ჩვენს გვერდით. მერე გვიანია.

**ნინო მუმლაძე,** *მსახიობი:*

– ბავშვობიდან ვიცნობდი, მე რომ ბერიკებში დავდიოდი, იმ ასაკიდან. მოდიოდა ხოლმე, ისიც ყოფილი გოგის მოსწავლე, ისეთი სიმპათიური, პოზიტიური, სიცოცხლით და იუმორით სავსე, ჩვენც აღფრთოვანებით ვუყურებდით. ასეთივე აღტაცებით უყურებდნენ ალბათ ბასტი-ბუბუს ბავშვები. თავისი ულამაზესი შვილებიც. ძალიან მეწყინა შენი წასვლა გოგიჩ. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

**ლიკა ყაზბეგი,** *სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი:*

– ყოველთვის უანგაროდ მედგა გვერდით. ადამიანი, რომელიც ყველას უყვარდა. ჩემი პროექტის ყველაზე მაგარი წამყვანი, გოგიჩა წავიდა.

**ვახო კანდელაკი,** *ტელეწამყვანი:*

– ბოლოს პირველი არხის ეზოში ვნახე. ძალიან გაბრაზებული, უფრო სწორედ, ნაწყენი იყო! – ბიჭო, გადაცემა დამიხურეს ისე, რომ ეს ყველაფერი ჩაწერაზე გავიგეო.

– გოგიჩ, მეც იგივე სიტუაციაში ვარ, ეხლა გავიგეთქო. – თავში გამიელვა აზრმა და ეგრევე გავუზიარე, –მოდი ვუჩივლოთ მაგ არაკაცებსთქო. – მოდიო! მაგას არ შევარჩენო.

ორი საათის მერე დამირეკა და მეუბნება, ვახსტანგი, ასე მეძახდა გოგიჩა, ბიჭო, რაღაც მაგრად მერიდება სასამართლოში გასაჩივრება, რას იტყვის ხალხიო!

ახლა ხალხი გამოჭენდება ჩემო ძმობილო და დაიწყებს – თუ რა მაგარი ადამიანი იყავი და რა ნიჭიერი! ისინიც იტყვიან, უეჭველი თავი რომ გაიმართლონ, შენ რომ გული გატკინეს.

ჩემო უფროსო და უკეთილესო მეგობარო, შევხვდებით ერთმანეთს და მერე გავარკვიოთ ყველაფერი. მიყვარხარ და მომენატრები!

**ზაზა შენგელია,** *„ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელი:*

– უნიჭიერესი, უკეთილესი და უწესიერესი გოგიჩა აღარ გვყავს, ტელეკომპანია „იბერვიზიის“ ყველაზე, ყველაზე პირველი წამყვანი.

**მასტერი,** *მომღერალი:*

– ძალიან, ძალიან სამწუხაროა. ათმაგად გულდასაწყვეტია, რომ ასეთი ადამიანები ასე ადრეულ ასაკში გვტოვებენ. გოგიჩა ასოცირდებოდა ყველას ბავშვობასთან, მე მას არ ვიცნობდი პირადად, მაგრამ ჩემი სანაცნობო წრე კარგად იცნობდა და ყველა ამბობს, რომ ისიც ბავშვივით ყოველთვის სუფთა, გულწრფელი და კეთილი ადამიანი იყო. ძალიან მეწყინა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

*კალეიდოსკოპი*

## ავსტრალიელი გაცივდა და სამ დღეში გარდაიცვალა



ავსტრალიაში 13 წლის კრისლატ-ლი ბაიტლი ჩვეულებრივი გაციებისგან დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევამდე მცირე ხნით ადრე გოგონას მთელმა ოჯახმა გადაიტანა გაციება. როდესაც სიმპტომები კრისტალ-ლისაც გამოუვლინდა, დედამისს ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. თუმცა ორი დღის შემდეგ გოგონას მდგომარეობა გაუარესდა და დედამისმა ის მეორე დღეს ექიმთან მიღებაზე ჩაწერა. მეორე დღის დილისთვის გოგონა უკვე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ადგილზე მისულმა პარამედიკოსებმა მისი გარდაცვალება დაადასტურეს.

სამხრეთ ავსტრალიის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა სტივენ უეიდმა განაცხადა, მისი უწყება გაციების პროფილაქტიკის პროგრამას იწყებს.

– ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე გადადის და მას შეუძლია 48 საათი გაძლოს მყარ სწორ ზედაპირზე, როგორიცაა კარის სახელური, სათამაშო მაგიდა, – განმარტა მინისტრმა. მან მოსახლეობას მოუწოდა, მეტი სიფრთხილით მოეკიდონ საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობას.

## ასი წლის ქალმა საკუთარი დღეგრძელობის უჩვეულო საიდუმლო გაამხილა



ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალაქ სტანსტედის მცხოვრები ამტკიცებს, რომ ასი წლის ასაკამდე თავისი საყვარელი კერძის – ცომში გამომცხვარი სოსისის წყალობით მიაღწია. ასი წლის მერი ემერსონმა განაცხადა, რომ თავისი ცხოვრების უმეტესი დროის განმავლობაში ოჯახის წევრებს ცომში გამომცხვარი სოსისით უმასპინძლდებოდა.

– ახლაც მიყვარს მათი მომზადება, თუმცა ახლა უკვე ასაკიდან გამომდინარე დამხმარე მჭირდება, – ხაზგასმით აღნიშნა ქალმა, – სწორედ ეს კერძი და დადებითი განწყობა დამეხმარა ასეთ ასაკამდე მიღწევაში.

ქალმა ჯერ კიდევ 1976 წელს მიაბარა მიწას მეუღლე, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ღვიძლი და ჯინაც დაკარგა. ამ ყოველივეს შემდეგ მერი მარტოდმარტოდ დარჩა, თუმცა ამის მიუხედავად ის თავს ჯანმრთელ და ბედნიერ ადამიანად მიიჩნევს.

## ქალი პიცის მოლოდინში გამილიონერდა

კანადელმა ქალბატონმა გადაწყვიტა ლატარია ეთამაშა, სანამ შეკვეთილ პიცას მიუტანდნენ და გამილიონერდა.

ანიტა სნაიდერმა კაფეში პიცა შეუკვეთა, რომელსაც დაახლოებით 20 წუთი უნდა დალოდებოდა. სანამ მის შეკვეთას ამზადებდნენ, ქალმა გადაწყვიტა მაღაზიაში შეერბინა, იქ მან 30 კანადური დოლარის ლატარიის ბილეთების ნაკრები შეიძინა.

აზარტული თამაშების მოყვარულმა ოთხი დღის შემდეგ გათამაშების შედეგები შეამოწმა. მის მიერ შეძენილ ერთ-ერთ ბილეთზე ექვსივე ციფრი დაემთხვა მომგებიან კომბინაციას. სნაიდერის მოგებამ ორი მილიონი კანადური დოლარი შეადგინა.




– ბილეთები მაშინ გამახსენდა, როდესაც ხელჩანთას ვალაგებდი და სწორედ მაშინ შევამოწმე გათამაშების შედეგები, – განაცხადა იღბლიანმა ქალმა, – მახსენდება, როგორ შევირბინე მეუღლის ოთახში და ვთხოვე ენახა, თუ რა ოდენობის თანხა მქონდა მოგებული. მგონი იმ დროს ვღრიალებდი.

## ოთხმა ვეფხვმა მომთვინიერებელი დაგლიჯა

იტალიის პროვინცია ბარიში საცირკო წარმოდგენის რეპეტიციის დროს ვეფხვებმა თავიანთი მომთვინიერებელი მოკლეს.

4 ივლისის საღამოს 61 წლის ეტორე ვებერი შოუს დაწყებამდე ერთი საათით ადრე ვეფხვებთან ერთად რეპეტიციას გადიოდა. ამ დროს მტაცებლები მას თავს დაესხნენ, ძირს დააგდეს და დაგლიჯეს. შემთხვევის ადგილზე მისული ექიმები და დაღუპულის კოლეგები ნახევარი საათის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ მისი ცხედრის მტაცებლების გალიიდან გამოტანას.



ექიმების თქმით, ვებერმა რამდენიმე სერიოზული ჭრილობა და ხერხემლის ტრავმა მიიღო, რამაც მისი დაღუპვა გამოიწვია. პოლიცია მომხდარის გამოძიებას აწარმოებს და მის დეტალებში გარკვევას ცდილობს.

## პითონის შეხებამ ქალი ისტერიკამდე მიიყვანა



სინგაპურში ზოოპარკის თანამშრომლებმა ქალს მხრებზე უზარმაზარი ალბინოსი პითონი დაადეს და ისტერიკაში ჩავარდნამდე მიიყვანეს. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ავტორმა ფეისბუქში სპეციალური ჯგუფის გვერდზე გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, რომ ორი დამთვალიერებელი ექსკურსიამძღოლის გვერდით დგანან და ცხოველების მონაწილეობით წარმოდგენის ფარგლებში პატარა გველს ხელით ეხებიან. ამ დროს მათთან ზურგის მხრიდან პარკის ხუთი თანამშრომელი მაყურებლების მხიარული შეძახილების თანხლებით, მიდის და მხრებზე ვეფხვისებურ ალბინოს-პითონს ასვამს.

ამან ერთ-ერთი ტურისტი, რომელსაც თავზე ქუდი ეფარა, ისტერიკაში ჩააგდო და მიწაზე დაეცა. თუმცა ზოოპარკის თანამშრომელი სწრაფად მოეგო გონს და მას წამოდგომაში დაეხმარა. მაყურებლებს ამ ყველაფერზე სიცილი აუვარდათ, შეშინებული ქალი კი გაიქცა.

## მამაკაცი 24 წელი ფეხით ზვიგენის კბილს ატარებდა



ამერიკის ფლორიდის შტატში მამაკაცს ფეხიდან ზვიგენის კბილი ამოუღეს, რომელმაც მას 24 წლის წინ უკბინა.

ჯეფ უიკლი 1994 წელს Flagler-ბიჩის პლაჟზე სერფინგით იყო დაკავებული, რა დროსაც იგრძნო, რომ თითქოს რაღაცამ უკბინა. თუმცა მან ვერ ამოიცნო ცხოველი, რომელიც მას თავს დაესხა. გასულ წელს მამაკაცმა ფეხზე დაკოჟრებული ადგილი გაიჭრა და იქიდან პატარა ვერცხლისფერი კბილი გამოჩნდა. ამან ამერიკელი ძალზე გააკვირვა. უიკლიმ გადაწყვიტა ის მეცნიერებისთვის ეჩვენებინა იმის დასადგენად, თუ ვის ეკუთვნოდა კბილი.

სპეციალისტები უკიდურესად გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კბილი უცხო სხეულში ამდენი წლის მანძილზე იმყოფებოდა, მას დნმ-ი შენარჩუნებული ჰქონდა. საჭირო კვლევების ჩატარების შემდეგ მათ დაადგინეს, რომ კბილი შავ ფარფლებიან ზვიგენს ეკუთვნოდა. როგორც წესი, ეს მტაცებლები იშვიათად ესხმიან თავს ადამიანებს და ძირითადად წვრილი თევზებით იკვებებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.8012

ევრო — 3.1547

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5133

100 რუსული რუბლი — 4.4134

## ამინდის პროგნოზი 9 ივლისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

ჯაშუში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

2 ივლისიდან

ანა სიუელი

მშვენიერი შავრა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## იუმორი

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, შეგიძლია მითხრა, როდის განიცდი ორგაზმს?

– კი მაგრამ, ძვირფასო, მაგის გამო სამსახურში ხომ არ დაგირეკავ!

•••

დირექტორმა თანამშრომელს თავის დივანთან ჩახუტებულს შეუსწრო და უღრიალა:

– ამისთვის გიხდი ხელფასს?!

– არა, რას ამბობთ, ამას სრულიად უსასყიდლოდ ვაკეთებ.

•••

გოგო ბიჭს ტელეფონზე ეუბნება:

– ექვს საათზე შევხვდეთ.

– და როგორ გიცნობ?

– ორი საათი დამაგვიანდება.

•••

მამაკაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, შეგიძლიათ მითხრათ, რომელი წამალია ერთდროულად ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო?

– არაყი, მეგობარო.

– მადლობა, მეგობარო.

•••

ქალიშვილი დედას ეუბნება:

– დედა, ეს გენადია! ჩვენთან დარჩება!

– რა ხნით?

– იმედი მაქვს, დილამდე გაძლებს...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დანი ალვეში შესაძლოა ბარსელონაში დაბრუნდეს



ბრაზილიელი მცველი დანი ალვეში შესაძლოა ბარსელონაში დაბრუნდეს.

ამჟამად ალვეში თავისუფალი აგენტია და ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს. ალვეშმა ბარსელონაში დაბრუნების სურვილი გამოთქვა და ის შედარებით დაბალ ანაზღაურებაზეც თანახმა იქნება.

ბარსელონა შესაძლოა ამ ზაფხულს ნელსონ სემედუმ დატოვოს და ამ შემთხვევაში ალვეშის დაბრუნება უფრო რეალური იქნება.

დანი ალვეშმა ბარსელონაში 9 სეზონი გაატარა და ეს გუნდი 2016 წელს დატოვა. ბრაზილიელი მცველის ბოლო გუნდი პსჟ იყო.

## მოურინიომ ჩინეთში მუშაობაზე უარი თქვა



ჟოზე მოურინიომ ჩინურ გუნდს უარი უთხრა, რომელიც მას წელიწადში 25 მილიონ ევროს სთავაზობდა. მოურინიოს თქმით, მას მხოლოდ უმაღლეს დონეზე სურს მუშაობა, ამიტომ მისთვის ფული მთავარი არ არის.

ჟოზემ იტალიაში გადაბარგების სურვილზე ისაუბრა, მაგრამ ჯერჯერობით მას კონკრეტული ვარიანტები არა აქვს.

შეგახსენებთ, რომ მოურინიოს ბოლო გუნდი მანჩესტერ იუნაიტედი იყო, საიდანაც ის 18 დეკემბერს არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

## დიეგო კოშტა ევერტონში გადადის

მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდი დიეგო კოშტა შესაძლოა ევერტონში გადავიდეს სათამაშოდ.

ატლეტიკოში კოშტამ ცუდი სეზონი ჩაატარა და ამის გამო მას გუნდის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაეძაბა.

ატლეტიკო არ არის წინააღმდეგი, რომ კოშტა გაყიდოს, თუ მასში რომელიმე გუნდი 50 მილიონს გადაიხდის. დიეგოს შეძენა ევერტონს სურს და დიდი ალბათობით ესპანელი ფორვარდი კარიერას ევერტონში გააგრძელებს.

დიეგო კოშტა ინგლისში უკვე თამაშობდა და ის 3 წლის მანძილზე ჩელსის ღირსებასაც იცავდა, სადაც პრემიერლიგა მოიგო.



## იუვენტუსი პოგბაში 130 მილიონს იხდის



ტურინის იუვენტუსი მზად არის, პოლ პოგბას ტრანსფერში 130 მილიონი გადაიხადოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოგბას მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლა სურს და მისი ტრანსფერი იუვენტუსში საკმაოდ რეალურია.

იუვენტუსის გარდა, პოგბას ყიდვა რეალსაც სურს, მაგრამ რეალი მის ტრანსფერში მხოლოდ 80 მილიონს იხდის, ეს ფასი კი მანჩესტერ იუნაიტედს არ აწყობს.

2016 წელს იუნაიტედმა პოგბას ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის საშუალებით; 2. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. უფროსი მღვდელი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 4. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 5. მქრქალი, ცისფერი ძვირფასი ქვა; 9. ქართველი კინორეჟისორი; 11. მარნეულის ძველი სახელწოდება; 12. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 14. ქალაქი სამეგრელოში; 18. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 19. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 4. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 5. მცენარეთა მავნებელი მწერი; 6. ბრიტანეთის ნაწილი; 7. სარეკლამო ლოზუნგი; 8. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 10. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 13. ფართლეულის, ქსოვილების ვაჭარი ძველად; 15. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 17. კინოფესტივალის ქალაქი საფრანგეთში; 20. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 21. მადნეულის მომპოვებელი საწარმო; 22. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 23. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ჟან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ






ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




გუი ფუ დი ჰუანგ ვან + ცუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15

მობ. ტელ: 568-73-73-44

www.facebook.com/Boaigeorgia/